სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ანგარიში

II კვარტალი

თბილისი

2017

სარჩევი

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი	-1
მედიაწარმოების ბლოკი	- 9
მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი	- 13
წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი	- 32
ფინანსებისა და ადმინისტრაციის ბლოკი	- 35
იურიდიული სამსახურის ანგარიში	- 39
სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" არქივი	- 45
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	- 49

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი

1. ახალი და მიმდინარე ამბების სამსახურის სამუშაოს აღწერა

1.1. სტუქტურა

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 2017 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით მაუწყებლის დებულებაში ცვლილებები შევიდა. ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის სტრუქტურული ერთეულები ასე განისაზღვრა:

- ცენტრალური მართვის აპარატი;
  - ✓ ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების აპარატი;
  - ✓ მედია პროდუქციის წარმოების აპარატი;'
- ანალიტიკური სამსახური

ახალი დებულებით გათვალისწინებული ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის სტრუქტურა სქემატურად ასე გამოიყურება:



ახალი ამბების ბლოკი აგებულია მულტიმედიური სამსახურების პრინციპით - ქმნის კონტენტს მაუწყებლის ყველა არხისათვის (1-ლი და მე-2 სატელევიზიო არხები, საზოგადოებრივი რადიო 1) და ინტერნეტ პლატფორმებისათვის (ვებ-გვერდი, აპლიკაციები, სოციალური მედია).

საერთო ჯამში ახალი ამბების ბლოკში 200-მდე თანამშრომელი მუშაობს: სამსახურების ხელმძღვანელები, პროდუსერები, ტექნიკური პროდუსერები, რედაქტორები, წამყვანები, კორესპონდენტები, კოორდინატორები და სხვ.

1.2. მიზნები და პრინციპები

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი, უზრუნველყოფს მაუწყებლის საინფორმაციო პოლიტიკის რეალიზებას:

- ☐ უზრუნველყოფს საზოგადოების ობიექტურ ინფორმირებას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე;
- ☐ პასუხს აგებს საინფორმაციო გამოშვებების და მიმდინარე ამბების შინაარსზე, რეგიონული მოვლენების მულტიმედიურ გაშუქებაზე;
- ☐ უზრუნველყოფს ახალი და მიმდინარე ამბების კრიტიკულ ანალიზს სხვადასხვა მედია ფორმების საშუალებით (რადიო, ტელევიზია, ონლაინ მედია).

ახალი და მიმდინარე ამბების სტრატეგიული მიზანია:

- ☐ უზრუნველყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მისწრაფებებისა და სტრატეგიული მიზნების რეალიზება ახალი და მიმდინარე ამბების მიმართულებით;
- ☐ შექმნას საჯარო სივრცე დებატების, დიალოგისა და ანალიზისთვის;
- ☐ ხელი შეუწყოს საზოგადოების ჩართულობას, მრავალფეროვნებისა და წარმომადგენლობითობის ასახვას;
- ☐ შეინარჩუნოს არსებული და მოიზიდოს ახალი აუდიტორია;
- ☐ უზრუნველყოს ახალი და მიმდინარე ამბების მულტიპლატფორმული ხელმისაწვდომობა.

გაჯერებული მედიაბაზრის ფონზე ახალი ამბების სამსახურისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის ოპერატიული გავრცელება, თუმცა უფრო მაღალი პრიორიტეტით სარგებლობს მოპოვებული ინფორმაციის სანდოობა და ობიექტურობა. ჩვენთვის ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომზადებული ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება.

აქტუალურობას არ კარგავს პასუხი კითხვებზე - ვინ, რა, როდის და სად, თუმცა საზოგადოებრივი მაუწყებელი და პირველ რიგში ახალი ამბების ბლოკი თავის მოწოდებად და უპირატესობად მიიჩნევს გასცეს პასუხი კითხვებს: როგორ, რატომ და რა გავლენას ახდენს მოქალაქეზე ესა თუ ის მოვლენა?!

საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, ასახოს ქვეყანაში არსებული მრავალფეროვნება, შესაბამისად ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი წარმოაჩენს საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა ფასეულობასა და იდენტობას, და ამავე დროს ხელს უწყობს მათი ერთიანობის დამკვიდრებას. ახალი ამბების ბლოკი უზრუნველყოფს განსხვავებულ ინტერესთა და საჭიროებათა იდენტიფიცირებას და საკუთარ პროდუქციაში ასახვას. ეს მიმართულება სსმ-ს გამოარჩევს სხვა მაუწყებლებისგან.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ორიენტირებულია საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე, რაც გვაიძულებს შევქმნათ მულტითემატური პროდუქცია. ობიექტური მიზეზების გამო მულტითემატური მრავალფეროვნება განსაკუთრებით თვალსაჩინოა საზოგადოებრივ რადიოში, რომლის პროგრამულ ბადეშიც ათობით ვიწროთემატური გადაცემაა.

საზოგადოებრივის კორპორატიული სარედაქციო ღირებულებები ასე გამოიყურება:

საზოგადოებრივის მიზანია, შექმნას რიგი სარედაქციო ღირებულებები, რომლებიც მოიცავს სიმართლეს, სიზუსტეს, მიუკერძოებლობას, პასუხისმგებლობას, საზოგადეობრივ ინტერესსა და დამოუკიდებლობას. მას აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს მოსაზრებათა მრავალფეროვნება;

საზოგადოებრივს სჭირდება, შეინარჩუნოს აუდიტორიის მხრიდან ნდობა და პატივისცემა, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და პატიოსნების გზით. ის უნდა იყოს აუდიტორიისათვის ხარისხისა და ღირებულების მიმწოდებელი, დაფინანსების მისაღებად;

საზოგადოებრივის შინაარსი (კონტენტი) უნდა იყოს კრეატიული და მნიშვნელოვანი, უნდა მოიცვას ფართო აუდიტორია.

საზოგადოებრივმა უნდა წაახალისოს გარემო, სადაც ადამიანები პატივს სცემენ ერთმანეთს და ხელს უწყობენ მრავალფეროვნებას. მან უნდა შექმნას ერთიანი სული. როდესაც ჩვენ ერთად ვმუშაობთ, მეტის მიღწევაც შესაძლებელი ხდება.

სიახლეები

1.3. მატერიალურ-ტექნიკური გადაიარაღება

საანგარიშო პერიოდში მენეჯმენტმა შეიმუშავა და სამეურვეო საბჭოს წარუდგინა გრძელვადიანი მატერიალურ-ტექნიკური გადაიარაღების გეგმა. დოკუმენტი სამეურვეო საბჭომ ერთხმად დაამტკიცა.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა გადაიარაღების სპეციალური ჯგუფი, რომელიც ამ პროცესს გაუძღვება. პროექტის ინტენსიური ფაზა მოიცავს 2017-2020 წლებს.

საანგარიშო პერიოდში შესაბამის სამსახურებს დაევალათ და მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია.

მასშტაბური გადაიარაღების აუცილებლობა გამოწვეულია მძიმე ტექნიკური მდგომარეობით, რომელიც პირველ რიგში საინფორმაციოს სამსახურის მუშაობაზე აისახება. ***მოამბე*** დღემდე მუშაობს ანალოგური აპარატურით. შედეგად, პირველი არხის სხვადასხვა პროდუქტი სხვადასხვა ხარისხის და ფორმატის (HD და SD) სიგნალით ვრცელდება.

მოამბის სასერვერო სამონტაჟო სისტემა HARRIS SD არ ექვემდებარება შეკეთებას და მოდერნიზაციას. ***მოამბის*** სტუდიური აპარატურა ასევე ანალოგურია (SD) და არ ექვემდებარება აღდგენას.

კამერების პარკი არასაკმარისი და ტექნიკურად მოძველებულია. განათების სისტემა 1975 წლიდან ფუნქციონირებს, ხოლო მათთვის განკუთვნილი ნათურები და სათადარიგო ნაწილები დიდი ხანია არ იწარმოება.

მოამზისთვის ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოძრავი სატელიტური სადგური და სარელეო ჩართვის აპარატები.

აღსანიშნავია, რომ ტელევიზიის ხმა დღემდე მონო სიგნალით ვრცელდება.

ტექნიკური გადაიარაღების მიზანია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა:

- ☐ კონტენტის მართვის ავტომატიზირებული ინტელექტუალურ ლოგიკური სისტემები (შიდა კომუნიკაცია, დოკუმენტაციისა და კონტენტის ელექტრონული მართვა, ERP, MAM, CMS)
- ☐ მაღალი გარჩევადობის გამოსახულება და მაღალი ხარისხის ხმა (HD, Stereo, კონტენტისა და წარმოების ხარისხი, კამერები, მიქშერები, განათება და სხვა)
- ☐ სიგნალების მიღება და გავრცელება სხვადასხვა პლატფორმებზე (სატელიტები, ჩართვის აპარატები, FLYWY და სხვა)

გადაიარაღების გეგმას კონკრეტული ეტაპები აქვს - პირველი ეტაპი 2017 წელს მოიცავს- ამ პერიოდში 5-6 ტენდერი გაიმართება. 2017 წელს ტექნიკური გადაიარაღებისთვის 15-18 მილიონი დოლარი დაიხარჯება. თანხების დაზუსტება ტენდერების შემდეგ მოხდება.

გრძელვადიანი პროექტი გულისხმობს საწარმოო ციკლის პირველი კორპუსიდან სხვა კორპუსებში გადატანას. (საუბარია როგორც არსებული მესამე და მეორე კორპუსების რეკონსტრუქციაზე, ასევე ნიუსრუმის მშენებლობაზე, რადგანაც ახალი ნიუსრუმი მხოლოდ სამი წლის შემდეგ ამოქმედდება, ამიტომ დღის წესრიგში დადგა დროებითი გადაწყვეტის აუცილებლობა).

დღევანდელ ნიუსრუმს არ გააჩნია ფანჯრები და ვენტილაციისა და კლიმატკონტროლის უზრუნველყოფის შესაძლებლობა. არ არის საკმარისი ფართი. შედეგად თანამშრომლები მუდამ უჩივიან გაუსაძლის მდგომარეობას, რომელიც პირდაპირ აისახება მათ ჯანმრთელობაზე, ფსიქიკასა და შრომისუნარიანობაზე.

გარდა ამისა, ინტეგრირებული ნიუსრუმის აუციებელი პირობაა ერთიანი სივრცის შექმნა. სამუშაოს წარმოების პრინციპები მოითხოვს უშუალო ვიზუალურ კონტაქტს ნიუსრუმის ყველა თანამშრომელს შორის. მათი სამუშაო ადგილებიც კი საქმის წარმოების დანაწილების მიხედვითაა განლაგებული.

ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო ახალი ნიუსრუმის მშენებლობის დასრულებამდე (2020) სიტუაციის შენარჩუნება დაუშვებელი იყო. დროებითი გადაწყვეტის სახით ***მოამზის*** და პოლიტიკური თოქ-შოუების სტუდიები განთავსდება C სტუდიაში. ინტეგრირებული ნიუსრუმისთვის კი გამოიყო პირველი კორპუსის მესამე სართულის წინა ფლიგელი, სადაც მენეჯმენტი იყო განთავსებული. საანგარიშო პერიოდში პირველი კორპუსის მესამე სართულზე უკვე დაიწყო კოსმეტიკური რემონტი. სართულზე მანამდე განთავსებულმა მენეჯმენტმა მესამე კორპუსში გადაინაცვლა. აღსანიშნავია, რომ რემონტთან დაკავშირებული ხარჯები მიზერულია ტექნიკურ და პროგრამულ აღჭურვასთან შედარებით. ეს უკანასკნელი კი მშენებლობის დასრულებისთანავე ახალ ნიუსრუმის კორპუსში გადაინაცვლებს. ანუ ნისრუმის გადაირაღების პირველი ეტაპის ხარჯების 90%-ზე მეტი მომავალი ნიუსრუმის პროექტში გრძელვადიან კაპიტალდაბანდებას წარმოადგენს. გადაიარაღების გეგმის პირველი ეტაპის ძირითადი ნაწილი სწორედ ახალი ნიუსრუმის პროექტს უკავშირდება. უშუალოდ ნიუსრუმისთვის გათვალისწინებულია შესყიდვები რომელთა საერთო ღირებულება მილიონ დოლარს აჭარბებს:

- ☐ პირველი კორპუსის მე-3 სართულზე განთავსებული ნიუსრუმის რემონტი;
- ☐ მედია ასეტ მენეჯმენტის სისტემა (Software and Hardware);
- ☐ პროგრამული უზრუნველყოფის პლატფორმა (SAM);
- ☐ სამონტაჟო სისტემა (Sam and Adobe Premiere);
- ☐ ნიუსრუმის მართვის სისტემა (Octopus);
- ☐ მიმდინარე არქივი (LTO 7 რობოტი, 13000 საათის ოდენობის საარქივო სისტემა).

მოამზის და პოლიტიკური თოქშოუების სტუდიებისთვის მოხდება C სტუდიის გადაიარაღება. ამ კომპონენტის დაახლოებითი ღირებულება 4 მილიონ დოლარს შეადგენს:

- ☐ ვიდეო მიქშერი (36in-24 out);
- ☐ სტუდიური კამერები - 8 ერთეული (Sony HDC-1700);

- ☐ სტუდიური საოპერატორო ამწე;
- ☐ აუდიო მიქშერი;
- ☐ სამკერდე მიკროფონები, ხელის მიკროფონები, ყურის გადამცემები, მართვის სისტემა;
- ☐ სატელეფონო ჰიბრიდი;
- ☐ სკაიპის სატელევიზიო სისტემა;
- ☐ ტიტრების სადგური;
- ☐ სუფლიორი;
- ☐ ინტერკომი-კავშირი (Riedel);
- ☐ ვიდეო-მატრიცა (Evertz);
- ☐ მულტივიუერები;
- ☐ სტუდიური LED ეკრანები 40 მ2

ამ შემთხვევაშიც ზემოჩამოთვლილი აღჭურვილობა აშენების შემდეგ ახალი ნიუსრუმის სტუდიაში გადაინაცვლებს. გადაიარაღების პროექტის პირველი ეტაპი ასევე ითვალისწინებს კამერების პარკის შეცვლას. 1,5 მილიონ დოლარად შეფასებული კომპონენტის ძირითადი ნაწილი კვლავ ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკზე მოდის - ***მოამბის*** და ***კვირის მოამბის*** თბილისის ჯგუფისთვის გათვალისწინებულია 22 კამერა, ხოლო მოამბის რეგიონების ჯგუფებისთვის 9 კამერა.

ცალკეულ კომპონენტს წარმოადგენს სასერვეროს გადაიარაღება (1 მლნ დოლარი). ახალი და მიმდინარე ამბებისთვის ეს ნიშნავს:

- ☐ ახალ IT ინფრასტრუქტურას მე-3 სართულის ნიუსრუმისთვის;
- ☐ ახალი IT ინფრასტრუქტურას C სტუდიისთვის;
- ☐ 17 სამონტაჟო სადგურს საინფორმაციო სამსახურისთვის;
- ☐ 150 სამუშაო სადგურს საინფორმაციო სამსახურის მართვის სისტემის დანერგვისთვის

ყველა ზემოთჩამოთვლილი კომპონენტი გულისხმობს დანერგილი ტექნოლოგიების სამწლიან მხარდაჭერას და უფასო განახლებას.

ასევე გათვალისწინებულია ***მოამბისა*** და პოლიტიკური თოქ-შოუებისათვის განკუთვნილი C სტუდიის განათების მთლიან შეცვლა (განათების საკიდები, განათების ცენტრალური მართვის სისტემა, ციფრული მართვის პულტი, თანამედროვე მართვადი მოწყობილობები). დამატებით ორ სტუდიაში განათების სისტემის შეცვლა 3 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ციფრული სატელიტური სადგურის (HD Flyway) და ოთხი ციფრული (HD) სარელეო ჩართვის აპარატის შეძენის გეგმები. ეს აპარატურა მნიშვნელოვნად გაზრდის ***მოამბის*** ოპერატიულობას და ტექნიკური მხარდაჭერის სანდოობას.

პროექტის განსაკუთრებულ კომპონენტს წარმოადგენს FIFA-ს სტანდარტების შესაბამისი მოძრავი სატელევიზიო სადგური, რომელიც საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ტრანსლირებას მოემსახურება.

1.4. 26 მაისის ღონისძიება

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებელი დამოუკიდებლობის დღისა და რუსთაველის 850 წლის იუბილის აღნიშვნას შეუერთდა პროექტებით, „დამოუკიდებლობის დღე საზოგადოებრივზე“ და „ჩვენ ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“.

ამ დღის აღსანიშნად, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა რუსთაველის გამზირზე სპეციალურად შექმნილი პავილიონი განათავსა. ამით მაუწყებელი ერთგული რჩება მისიის - ყოველთვის იყოს სახალხო მოვლენის ეპიცენტრში და ხელმისაწვდომი საზოგადოების ნებისმიერი ფენის წარმომადგენლისთვის.

08:00 საათიდან მაუწყებლობას საზოგადოებრივის ტელევიზია, რადიო და ვებგვერდი რუსთაველის გამზირიდან უწყვეტი ეთერის რეჟიმში ახორციელებდა.

თბილისის ოპერის მოპირდაპირე მხარეს საზოგადოებრივი მაუწყებლის პავილიონი პირველად განთავსდა. პავილიონიდან ეთერში საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ დღის გამოშვება 11:00 საათიდან გავიდა. რადიოს საინფორმაციო სამსახური კი რუსთაველზე მიმდინარე და დაგეგმილ მოვლენებს დილის 8 საათიდან ყოველ საათში აშუქებდა. ახალი და მიმდინარე ამბების რადიო მიმართულებამ ასევე უზრუნველყო 4 საათიანი უწყვეტი პირდაპირი ეთერი რუსთაველის გამზირიდან და ფიცის დადების რეპორტაჟი.

1.5. ინტერნეტ მაუწყებლობა

მნიშნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა ციფრული მედიის კუთხით. თვისობრვად გაიზარდა ***საზოგადოებრივის*** ციფრული პლატფორმებით გავრცელებული ინფორმაციის ხარისხი და რაოდენობა. დღის განმავლობაში ნიუსების რაოდენობა 100-იდან 150-მდე მერყეობს, რაც ძლიერი საინფორმაციო სააგენტოს მასშტაბებს წარმოადგენს.

კონტენტის გაზრდილი ხარისხი და რაოდენობა აისახა აუდიტორიის ზრდაში.



მოყვანილ გრაფიკში კარგად ჩანს აუდიტორიის აქტივობის დინამიკა და ბოლო 2 კვარტალში მიღწეული პროგრესი. რაც გამოწვეულია ***ციფრული პროდუქტის ჯგუფის სრულფასოვანი ამუშავებით*** და ჟურნალისტთა გაზრდილი აქტივობით.

1.6. ანალიტიკური სამსახურის ამუშავება

საანგარიშო პერიოდში ჩამოყალიბდა და სრულფასოვნად ამუშავდა ***ანალიტიკური სამსახური***. მისი მუშაობა ძალზედ მნიშვნელოვანია გრძელვადიანი დაგეგმვისა და კვალიფიციური გაშუქების თვალსაზრისით. ეს სტრუქტურა ახალი დებულებითაა გათვალისწინებული. ის დაკომპლექტდა სხვადასხვა მიმართულების ექსპერტებით.

……

მედიაწარმოების ბლოკი

განვითარება/დინამიკა

შესრულებული ამოცანები

1. გამოცხადდა კონკურსები ტელეპროექტების შერჩევის მიზნით. საკონკურსო კომისიის მიერ გენერალური დირექტორის რეკომენდაცია გაეწია 9 პროექტს.
   1.1. **შესრულებული სამუშაოები:** პროექტების გადარჩევა, შეფასება, გასაუბრება პირველ ტურში გადასული პროექტების ავტორებთან, შეფასება, პილოტების გადაღება, პროექტების შერჩევა
   1.2. **შესასრულებელი სამუშაოები:** საპროექტო ჯგუფების ფორმირება, პროექტის საწარმო ციკლის დაგეგმვა და პროექტების გახსნა შესაბამისი საპროექტო ვადებით.
2. გამოცხადდა კონკურსი სერიალების შერჩევისთვის (მელოდრამატული 48, დეტექტიური - 24)
   2.1. **შესრულებული სამუშაოები:** პროექტების გადარჩევა, შეფასება, გასაუბრება პირველ ტურში გადასული პროექტების ავტორებთან, შეფასება, დამტკიცება; საპროექტო ჯგუფების ფორმირება, პროექტის საწარმო ციკლის დაგეგმვა და პროექტების გახსნა შესაბამისი საპროექტო ვადებით
   2.2. **შესასრულებელი სამუშაოები:** ტენდერი შესრულებაზე, წარმოება, <u>ვადები:</u> სერიალები ეთერში უნდა ჩაეშვას 1 იანვარს.
3. სტრუქტურული ცვლილების ლეგიტიმაციამდე (17 ივლისი) მიმდინარეობს ბლოკის პროცესების ფორმირება
4. განხორციელდა ქართული ფილმების შერჩევისა და მონიტორინგის სამსახურის სტრუქტურირება, საშტატო ერთეულების დამტკიცება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს წლის სამოქმედო გეგმის ფორმირება, რის საფუძველზეც უნდა გამოცხადდეს კონკურსები დოკუმენტური ფილმების შერჩევისთვის.
5. დასრულდა პროექტი 43 - ის საწარმოო ფაზა, რომლის წარმოებაც მედიაწარმოების ბლოკმა უზრუნველყო კო პროდუქციის საშუალებით.
6. მიმდინარეობს პროექტი „ შვიდკაცა“ -ს საწარმოო ფაზა, რომლის წარმოებასაც მედია წარმოების ბლოკი უზრუნველყოფს კო პროდუქციის საშუალებით.
7. მიმდინარეობს მიკრო ფილმების წარმოება - „ის რაც გვაერთიანებს“ - შემოქმედებითი ჯგუფი „ეპოქა“ უზრუნველყოფს მიკრო ფილმების წარმოებას მთავარი მესიჯის - „ ის რაც გვაერთიანებს“ გათვალისწიებით.
8. განხორციელდა სატელევიზიო პროექტი „ის რაც გვაერთიანებს – ჩვენ ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის ფარგლებში (პირდაპირი 2 საათიანი ეთერი).
9. მიმდინარეობს „ის რაც გვაერთიანებს- სპორტი საზოგადოებრივზე“ სატელევიზიო პროექტის ფორმირება. ღონისძიების სატელევიზიო ვერსია გულისხმობს 2 საათიანი პირდაპირი ეთერით მაუწყებლო

ახალი სატელევიზიო სეზონიდან გენერალურ დირექტორს რეკომენდაცია გაეწია შემდეგ საკონკურსო პროექტების განხილვა/განხორციელებაზე:

1. სოციალური; სოციალური თოქ-შოუ- ქეთევან კაპანაძე „რეალური სივრცე“
2. კულტურულ-შემეცნებითი გადაცემა - გიორგი ასანიშვილი „ნაცნობი მელოდიები“
3. კულტურის სიახლეების მიმოხილვა - თეონა ჯორბენაძე „Modern Art“
4. შემეცნებით-საგანმანათლებლო - ჯანსაღი ცხოვრება- მარი მალაზონია „პირადი ექიმი - მარი მალაზონია“
5. სოფლის მეურნეობა- თამარ ბოლქვაძე „ფერმა“
6. საბავშვო-ახალგაზრდული- საბავშვო შემეცნებითი გადაცემა- დალი ხოჯავა „სუპერ გმირი“
7. საბავშვო-ახალგაზრდული შემეცნებითი გადაცემა - ნინო კელაურიძე „წიგნების თარო“;
8. საბავშვო-ახალგაზრდული შემეცნებითი გადაცემა - თამარ ციციშვილი „ხარ თუ არა მეხუთე კლასელზე ჭკვიანი?!“
9. შემეცნებით-გასართობი კულინარიული შოუ-- ნინო გოგოლაური „გურმანია“
10. პროექტი „ხანმოკლე მეოცე საუკუნე“ გადაფორმატება ვებპლატფორმისთვის.
11. განიხილება პროექტ „ოკულარის“ ცალკეული ელემენტების ვებპლატფორმისთვის გარდაქმნის საკითხი.

წარმოებაში ჩაშვების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღებამდე შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც დამატებით იმუშავებს პროექტის ავტორებთან ერთად, პროექტების რეალიზაციის ტექნიკურ შესაძლებლობებზე, ფორმატების დახვეწაზე ბადესთან თავსებადობის კუთხით, პროექტების ვიზუალური მხარისა და დიზაინის საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთიან ვიზუალურ კონცეფციასთან თავსებადობის ნაწილში.

ინიცირების ფაზაშია:

1. მუსიკალური მეგა შოუ - რანინა
2. კულინარული მეგა შოუ- ჩვენი სამზარეულოს წესები
3. საარქივო პროექტი „ჰოპლას“ ბაზაზე პირობითი სახელწოდებით - „ჩვენი არქივი“.
4. სერიალი - „დროებით დასაქმებული “.
5. დილის გადაცემა
6. შუადღის თოქ შოუ
7. პროექტი „ილუზიონი“

მოსამზადებელ ფაზაშია:

1. მელოდრამატული სერიალი „ლივლივი“
2. დეტექტიური ჟანრის სერიალი - „ ვაკანსია მკვლელის თანამდებობაზე“
3. დოკ ფილმი- „რემისია“
4. დოკ ფილმი - „შარდენის კვალდაკვალ“
5. დოკ ფილმი- „სტოქსი“.

წარმოების ფაზაშია:

1. პროექტი-„ შვიდკაცა“ , რომელიც უნდა დასრულდეს 2017 წლის დეკემბრამდე
2. „გააგრძელე საქართველოს ისტორიის“ 3 ფილმი და 10 მიკროფილმი, რომელიც უნდა დასრულდეს 17 ივლისამდე .
3. მიკროფილმები - „ის რაც გვაერთიანებს“.

წარმოების შემდგომ ფაზაშია:

4. პროექტი- 43, რემელიც უნდა დასრულდეს 17 ივლისამდე

დასრულდა დოკუმენტური ფილმების წარმოება:

5. „ჩაკეტილი წრე“
6. „სახლი ქიაჩელზე“
7. „ვიკინგები“
8. „თავისუფალი ფრენა“
9. „დიგერები“
10. „ჩემი სწორფერი“
11. „ათონის მთა“

---

17 ივლისიდან დაიხურება შემდეგი სატელევიზიო პროექტები:

1. გადაცემა “ტელემანი“
2. გადაცემა “ცოცხალი მუსიკა“
3. გადაცემა “შაბათ საღამოს ლიზასთან“
4. გადაცემა “კაცების დრო“
5. გადაცემა “ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“
6. გადაცემა “ცე სტუდია“
7. გადაცემა “სიტყვების თამაში“
8. გადაცემა “დღე მუზეუმში“
9. გადაცემა “გააგრძელე საქართველოს ისტორია“
10. პროექტი “43“
11. გადაცემა “უცნობი მუსიკა“

2017 წლის მეორე კვარტლის განმავლობაში მედია წარმოების ბლოკის მიმართულებით **რადიო გადაცემები,** რომელიც გეგმიურად გაგრძელდა:

კოლექცია	ლევან გიგინეიშვილის საავტორო გადაცემა	რა სურთ ქალებს	გალერეა
ქალი და მამაკაცი	კულტურული მემკვიდრეობა ქართლის ცხოვრება	უცნობი მუსიკა	ქართლის ცხოვრება
უცნობი მუსიკა	გალერეა რადიო	მუსიკა ღამით	თეატრი რადიო 1-ზე
მუსიკა ღამით	რადიოთეატრი	თავისუფალი ლიტერატურა	სოფლის დილა
თავისუფალი ლიტერატურა	ფოლკლორი რადიო 1-ზე	კულტურული მემკვიდრეობა	სტილი და იდეა
კულტურული მემკვიდრეობა	სტილი და იდეა	ცხოვრება ხელოვნებაში	ფოლკლორი რადიო 1-ზე
ცხოვრება ხელოვნებაში	ჩვენი საგანძური	პიკის საათი	ჩვენი საგანძური
დო-რე-მი	მუსიკა რადიო 1-ზე	განსხვავებული აზრი	მუსიკა რადიო 1-ზე
იგს ბოქსი	კონსულტაცია რადიო 1-ზე	მიგრაციის მარშრუტები	კონსულტაცია რადიო 1-ზე
იყო და არა იყო რა	რადიო ბლოგერი	შაბათ-კვირა რადიო 1-ზე	რადიო ბლოგერი
პიკის საათი	ჩვენი ქლაქის პატარა ამბები	ხაზის რადიო	ჩვენი ქლაქის პატარა ამბები
განსხვავებული აზრი	პუბლიცისტრი მემკვიდრეობა	იყო და არა იყო რა	პუბლიცისტური მემკვიდრეობა
მიგრაციის მარშრუტები	სიტყვაა ქართული	დო რე მი	სიტყვა ქართული
შაბათ-კვირა რადიო 1-ზე	აკადემიური სივრცე	იგს ბოქსი	აკადემიური სივრცე
ხაზის რადიო	სოფლის დილა	წიგნების თარო რადიო 1-ზე	კოლექცია

მომავალი კვარტლის გეგმები

- ☐ სექტემბრის სეზონისთვის სამოქმედო გეგმის ფორმირება კორექტირებული ბიუჯეტის შესაბამისად;
- ☐ ახალი სატელევიზიო სეზონის პროექტების დამტკიცება/საპროექტო ჯგუფების ფორმირება კორექტირებული ბიუჯეტის შესაბამისად;
- ☐ სერიალების საწარმო ციკლის დაწყება კორექტირებული ბიუჯეტის შესაბამისად;
- ☐ რადიოს ოპტიმიზაციის პროექტის დაწყება;
- ☐ დოკუმენტური ფილმების შერჩევისთვის გეგმის შემუშავება შემდგომში კონკურსის გამოცხადების მიზნით.

…….

მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი

2017 წლის მეორე კვარტალში მცირე ცვლილებები განიცადა პირველი არხის საეთერო ბადემ. კერძოდ, პირველი აპრილიდან ეთერში განთავსდა გადაცემა „ყველა კითხვა“- თოქ შოუ უახლესი ისტორიის შესახებ. ამასთანავე, 8 აპრილიდან ეთერში ჩაეშვა გადაცემა „სიტყვების თამაშის“ 2016-1017 წლების მეორე სეზონი.მეორე კვარტალი დატვირთული იყო სპორტული ღონისძიებებით. აპრილიდან ორივე სატელევიზიო არხზე განთავსებული იყო „დევისის თასის ტურნირი“, რაგბიში საქართველოს ჩემპიონატი „დიდი ათი“, რაგბიში ოც წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მატჩი და ცხრამეტ წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში, რომლთა მასპინძელიც საქართველო იყო. ქვეყანაში ჩატარებულ მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებებს წინ უძღოდა მცირე ფორმატის სპორტული გადაცემები, რომლების სპეციალურად ამ კონკრეტულ ასპარეზობას ეძღვნებოდა.

26 მაისს, საზოგადოებრივი მაუწყებელი შეუერთდა რუსთაველის გამზირზე საქართველოს დამოუკიდებლობის დღისა და „ვეფხისტყაოსნის“ 850 წლის იუბილეს აღნიშვნას. ამ დღეს, პირველი არხის უწყვეტი მაუწყებლობა დილიდან 16:00 საათამდე რუსთაველის გამზირზე მოწყობილი სტუდიიდან მიმდინარეობდა.

ბრენდინგისა და კომუნიკაციის ჯგუფი

საზოგადოებრივი, როგორც მულტიჟანრული, სიღრმისეული, ინოვაციური და საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესზე ორიენტირებული ბრენდი, მიმდინარე წლიდან აუდიტორიას მიმართავს ახალი გზავნილით - “**საზოგადოებრივი - ის რაც გვაერთიანებს!”**

საზოგადოებრივი - ის რაც გვაერთიანებს!

2017 წლის აპრილიდან ივლისის ჩათვლით, აქტიური ნაბიჯები გადაიდგა ბრენდის იმიჯის გასაუმჯობესებლად. განხორციელდა რიგი პროექტები, რომლებმაც ხელი შეუწყო შიდა და გარე კომუნიკაციის დამყარებას.

განხორციელებული პროექტები:

აპრილი	
9 აპრილი - დამოუკიდებლობის აღდგენის დღე	ყველა სამაუწყებლო პლატფორმის დაბრენდვა. ბანერი/ქავერი/ტიხარი/
14 აპრილი - დედაენის დღე	სოციალური მედიის დაბრენდვა
16 აპრილი - აღდგომა	სოც/ვებ/ეთერი ათვისება/ბრენდინგი
Red Nose Day Compaign - გაიცინე, გაეცი, გადაარჩინე ბავშვი	დაგეგმვა/განხორციელება, სოც-მედიის დაბრენდვა, ვირუსული კამპანიის ხელშეწყობა, თანამშრომლების სოციალური პასუხისმგებლობის გაღვივება.
Green office compaign - კამპანია "მწვანე ტელევიზია"	დაგეგმვა/განხორციელება, სოც-მედიის დაბრენდვა, ვირუსული კამპანიის ხელშეწყობა, თანამშრომლების სოციალური პასუხისმგებლობის გაღვივება. ეკოლოგიაზე ზრუნვა
მაისი	
8 მაისი - მსოფლიო რბენა	კამპანიის დაგეგმვა/განხორციელება. კონცეფცია/სლოგანი/ვიზუალური გაფორმება - ვიდეორგოლები, აპლიკაცია(ვიდეო ინსტრუქცია და ვირუსული რეკლამა ,,გააზიარე შენი შედეგი საზოგადოებრივზე), მარი მალაზონიას რჩევები(3 ვიდეო რგოლი), სოც. მედიის დაბრენდვა, ლოკაციის ბრენდირება, აქტივობები და მომავალი ღონისძიების პრომოუშენი (რაგბის 20 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი)
გაიცანი	კამპანიის დაგეგმვა/განხორციელება. კონცეფცია/სლოგანი/ვიზუალური გაფორმება, სოც. მედიის

თანამშრომელი	დაბრენდვა, ვირუსული პოსტერების განთავსება.
ევროვოზია	საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება, ყველა შიდა და გარე ინტერნეტ პლატფორმების ათვისება. ცნობადობის ამაღლების და მაყურებლის მაქსიმალურად ჩართულობის მიზნით, შემუშავდა ევროვიზიის კორპორაციული შაბლონები და დაიგეგმა კროსპრომოუშენი.
რაგბი - ოც წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი	საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება, ყველა სამაუწყებლო პლატფორმის ბრენდირება. წამყვანი სპორტსმენების "პორტრეტების" მომზადება.
23 მაისი - რადიოს დაბადების დღე	კამპანიის დაგეგმვა/განხორციელება. კონცეფცია/სლოგანი/ვიზუალური გაფორმება - სატელევიზო ეთერის სრული ათვისება, სოც. მედიის დაბრენდვა, კორპორაციული სასაჩუქრე ატრიბუტიკის შემუშავება/დამზადება
26 მაისი - "ჩვენ ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს"	რუსთაველი 850 წლის იუბილე. იდეა/მთავარი გზავნილი/დაგეგმვა/შესრულება. ლოკაციის სრული ბრენდირება. სასაჩუქრე პაკეტების შემუშავება/განხორციელება. კორპორაციული ატრიბუტიკის შემუშავება/ბრენდირება. ოქროს ფონდის პრომოუშენი, უნიკალური ჩანაწერების შეფუთვა/ბრენდინგი.
ივნისი	
მეორე არხის დაბადების დღე	კორპორაციული ღონისძიება
ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე	სოც/ვებ/ - ათვისება/ ბრენდინგი
პროექტის - ,,სპორტული რიტმი" მოსამზადებელი სამუშაოები	პროექტის კონცეფციის შემუშავება/დაგეგმვა

მნიშვნელოვანი პროექტები

- 26 მაისი- საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

ვეფხისტყაოსანი - ის, რაც გვაერთიანებს!

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ბრენდინგისა და კომუნიკაციის ჯგუფის ორგანიზებით რუსთაველის გამზირზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის პავილიონი მოეწყო. ერთ სივრცეში გაერთიანებულ 6 პავილიონში, განთავსებული იყო როგორც ტელევიზიისა და რადიოს პირდაპირი ეთერის სტუდიები, ასევე შემეცნებითი სივრცე და „ვეფხისტყაოსნის“ ჩასაწერი სტუდია.

მთელი დღის განმავლობაში მაუწყებლის პავილიონიდან ხორციელდებოდა უწყვეტი პირდაპირი ეთერი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს, როგორც ცნობილმა სახეებმა, ასევე მაუწყებლის აქტივობებში მონაწილეობის მსურველებმა.

პროექტის ფარგლებში ნებისმიერ მსურველს შეეძლო წაეკითხა „ვეფხისტყაოსნის“ სტროფი.

ასობით სხვადასხვა ასაკის მსურველის მონაწილეობით გაიმართა ინტელექტუალური თამაში, საეთეროდ მოწყობილ სტუდიაში, სპეციალურად მოწყობილი პავილიონიდან მაუწყებლობდა საზოგადოებრივი რადიო.

მაუწყებლის პავილიონით დაინტერესდა ათასობით მოქალაქე, ხოლო პროექტში ჩაერთო რამდენიმე ასეული ადამიანი.

26 მაისს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ხალხთან ერთად იმაუწყებლა 9 საათის განმავლობაში პირდაპირი ეთერის რეჟიმში.

მსოფლიო რბენა

საზოგადოებრივი მაუწყებელი შეუერთდა მსოფლიო საქველმოქმედო მარათონს - ,,World run - wings for life”.

კახეთში, რბენის დაწყებამდე, მარათონის მონაწილეთა ჩართულობისა და ბრენდის პოპულარიზაციისთვის, ბრენდინგისა და კომუნიკაციის სამსახურმა მოაწყო:

- ორი მცირე მოედანი (რაგბი, ფეხბურთი), სადაც ნებისმიერ მსურველს საშუალება ჰქონდა ეთამაშა დღის განმავლობაში და საზოგადოებრივი მაუწყებლისგან მიეღო სამახსოვრო საჩუქრები.

- მოეწყო მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა 2017 წლის ჩემპიონატის თასის ჩამოტარების ცერემონიალის გახსნა და ლენტის გაჭრა. (ჩემპიონატის დაწყებამდე, თასმა იმოგზაურა საქართველოს 9 რეგიონში, რის ფარგლებშიც, კახეთში თასი განთავსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სივრცეში).
- მარათონის მონაწილეებს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შესთავაზა სპეციალური აპლიკაცია - - **„Photo Live"** , რომლის საშუალებითაც ნებისმიერ მონაწილეს შეეძლო, ზუსტად ეჩვენებინა მისი გარბენილი კილომეტრები.
  ნიშნულებზე დამონტაჟებული ,,ქუვერ კოდის" სკანირების საშუალებით, მარათონის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გაეზიარებინათ შედეგი საკუთარ სოციალურ ქსელში.

,,პრე კამპანია"

შიდა კომუნიკაციისა და გუნდურობის სულისკვეთების ამაღლებისთვის, ბრენდინგისა და კომუნიკაციის ჯგუფმა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დახმარებით, ორგანიზება გაუწია თანამშრომლების ინფორმირებას, რაც გულისხმობდა მათ მომზადებას მარათონისთვის, დამზადდა საინფორმაციო სახის ვიდეო და აუდიო რგოლები, მოეწყო რბოლაში მონაწილე თანამშრომლების ფოტოსესია, დამზადდა ,,ფეისბუქ ქავერები"და ასევე შიდა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, განხორციელდა პროექტი - **,,გა -მო -იცანი თანამშრომელი".**

კორპორაციული პროექტები

მეორე კვარტალში განხორციელებული შიდა საკომუნიკაციო პროექტები

ორიენტირებული იყო, როგორც თანამშრომლებში სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებაზე, ასევე გუნდური სულისკვეთების ჩამოყალიბებაზე.

კამპანია "მწვანე ტელევიზია" -Green office compaign

საზოგადოებრივი მაუწყებელი შეუერთდა გარემოსდაცვით აქციას - **Green office compaign,** რომლის ფარგლებშიც ტელევიზიაში განთავსდა მაკულატურისთვის განკუთვნილი სპეციალური ყუთები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ბრენდინგისა და კომუნიკაციის ჯგუფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ორგანიზებით, დამზადდა გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებელი აუდიო რგოლები და ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით, მოხდა თანამშრომლების ინფორმირება და კამპანიაში ჩართვა.

,,წითელი ცხვირების კამპანია" #RedNoseDay - გაიცინე, გაეცი, გადაარჩინე ბავშვი

საზოგადოებრივი მაუწყებელი ჩაერთო სოციალურ კამპანიაში ,,**Red Nose Day**".

კამპანიის ფარგლებში, ბრენდინგისა და კომუნიკაციის სამსახურისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ორგანიზებით, მოხდა სოციალური ქსელის მეშვეობით თანამშრომლების ინფორმირება და ფოტოსესიისთვის სივრცის მოწყობა.

შედეგად, მაუწყებლის თანამშრომლებმა შეიძინეს წითელი ცხვირები, გადაიღეს სახალისო ფოტოები, ხოლო წითელ ცხვირებში გადახდილი თანხით, დახმარება გაუწიეს ლეიკემიით დაავადებულ ნიკუშა დვალაძეს.

საზოგადოებრივი რადიოს და მეორე საზოგადოებრივის დაბადების დღე

მიმდინარე წელს, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა აღნიშნა რადიოს 92 და მეორე არხის მაუწყებლობის 26 წელი.

ორივე თარიღის აღსანიშნავად, ბრენდინგისა და კომუნიკაციის ჯგუფის ორგანიზებით, დამზადდა ვიდეო და აუდიო რგოლები, შესაბამისად შეიფუთა სატელევიზიო ეთერი, დაიბრენდა ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი.

საზოგადოებრივი რადიოს თანამშრომლებს, საზეიმო ვითარებაში საჩუქრად გადაეცათ ხელნაკეთი რადიოს ფორმის სუვენირი.

ექსკლუზიური პროდუქტები

ევროვოზია

ბრენდინგისა და კომუნიკაციის ჯგუფმა ევროვიზია 2017 -ისთვის დაგეგმა და შეიმუშავა საკომუნიკაციო სტრატეგია, ბრენდის ცნობადობის ამაღლებისა და მაყურებლის მაქსიმალურად ჩართულობის მიზნით, დაგეგმა შიდა და გარე პრომოუშენი, აითვისა ინტერენეტ პლატფორმები, შეიმუშავა ევროვიზიის კორპორაციული შაბლონები და დაგეგმა ,,კროსპრომოუშენი".

რაგბი

2017 წელს, საქართველომ პირველად უმასპინძლა მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა 2017 წლის ჩემპიონატს. ბრენდინგისა და კომუნიკაციის ჯგუფმა, ვიზუალური გაფორმების ჯგუფთან ერთად, დაგეგმა და მოამზადა პრომოუშენი (ვიდეო რგოლები, ფოტოგადაღება, პრე-პრომოუშენი მსოფლიო რბენაზე და ვებგვერდისა და სოციალური ქსელის ვიზუალური გაფორმება). გარდა ამისა, საზოგადოებრივი მაუწყებელი იყო ჩემპიონატის მედია პარტნიორი.

განცხადებები და პრესრელიზები

დეტალურად:

2017 წლის მეორე კვარტალში პერმანენტულად მზადდებოდა ორგანიზაციის ვებ გვერდზე განსათავსებელი განცხადებების პროექტები. ასევე - პრესრელიზები მაუწყებელში მიმდინარე სიახლეებთან დაკავშირებით, რომლებიც ვრცელდებოდა მედიასაშუალებებში.

„მომავლის მემკვიდრეობა“-გერმანია-საქართველოს წელი 2017“

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიამხარდაჭერა გაუწია გერმანიის საელჩოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებათა ციკლს „მომავლის მემკვიდრეობა“-გერმანია-საქართველოს წელი 2017“, რომლის ფარგლებშიც მაუწყებლის სხვადასხვა პლატფორმებსა და გადაცემებში პერმანენტულად შუქდებოდა პროექტის შემადგენელი ღონისძიებები.

საგზაო უსაფრთხოების მეოთხე გლობალური კვირეული

საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიამხარდაჭერით, 8-14 მაისს, გაეროს საგზაო უსაფრთხოების მეოთხე გლობალური კვირეული აღინიშნა. საგზაო უსაფრთხოების კვირეული მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება და მისი მიზანია საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება საგზაო უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებაში.

„აღდგომიდან ამაღლებამდე“

20 აპრილიდან 26 მაისამდე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიამხარდაჭერა გაუწია საერთაშორისო ფესტივალს „აღდგომიდან ამაღლებამდე“.

ზაზა დარასელის სახელობის ტურნირი

მაისის თვეში საზოგადოებრივი მაუწყებლის მხარდაჭერით ჩატარდა ზაზა დარასელის სახელობის ტურნირი მინი ფეხბურთში.

საერთაშორისო დოკუმენტური ფილმების კინოფესტივალი CineDOC-Tbilisi 2017

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიაპარტნიორობა გაუწია აპრილის თვეში თბილისში გამართულ საერთაშორისო დოკუმენტური ფილმების კინოფესტივალს CineDOC-Tbilisi 2017.

სპორტული ფილმების ფესტივალი

საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიამხარდაჭერით 22-25 ივნისს, თბილისში, სპორტული ფილმების ფესტივალი გაიმართა. სპორტული ფილმების ფესტივალი წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური სტუდიის ფილმით "მდგმურები" გაიხსნა. გარდა ამისა, ერთი დღე საზოგადოებრივი მაუწყებლის სპორტული მიმართულების დოკუმენტურ ფილმებს და

რეპორტაჟებს დაეთმო. ნაჩვენები იყო ფილმები „შიდო“, „მეშვიდე ერი“ და რუბრიკის „ურბან სპორტი“ ფარგლებში მომზადებული სპორტსმენთა პორტრეტები და ჩანახატები.

მომზადდა ანგარიშები საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ:

- „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა“ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ;
- გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ;
- „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულებასთან დაკავშირებით;
- საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის ქვეთავის „გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება“ 2016-2017 წლებისთვის შესრულებული აქტივობების შესახებ;

„წიგნების თარო“

გადაცემის „წიგნების თარო“ ფინალური გადაცემისთვის მომზადდა გამარჯვებული გუნდისთვის გადასაცემი ჯილდო და სიგელები.

კორპორაციული შემოთავაზებები

საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებისთვის რეგულარულად ხორციელდებოდა სხვადასხვა ღონისძიებებზე ფასდაკლებების შეთავაზება კორპორაციული პაკეტების ფარგლებში.

გადაღების ნებართვა

გადაცემების და ანონსების დასამზადებლად პერმანენტულად მზადდებოდა წერილის პროექტები სხვადასხვა ლოკაციებზე გადაღების ნებართვის მოსაპოვებლად.

საბარტერო ხელშეკრულებების ათვისება

2017 წლის მეორე კვარტალში განხორციელდა საზოგადოებრივ მაუწყებელსა და სხვადასხვა მედიასაშუალებებს შორის გაფორმებული საბარტერო ხელშეკრულებების ათვისება, აღნიშნულ პლატფორმებზე მაუწყებლის პროდუქტების სარეკლამო ბანერებისა და ვიდეორგოლების განთავსების გზით.

სხვა საქმიანობა

- იურიდიულ სამსახურთან ერთად ადმინისტრირება გაეწია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ახალი საეთერო სეზონისთვის მხატვრული სერიალების სცენარების და გადაცემების შესარჩევად გამოცხადებულ კონკურსებს.

- აღნიშნული კონკურსისთვის ონლაინ მედიის სამსახურთან ერთად მომზადდა შესაბამისი ელექტრონული აპლიკაცია, რომლის საშუალებითაც მიიღებოდა განაცხადები.

- საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემების მიერ სოციალურ ქსელში გაზიარებული მასალების პრომოუშენი (Boost) (ვებგვერდის სამსახურთან ერთად).

- პერმანენტულად ხორციელდებოდა მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმიანობა, შემოსულ კორესპონდენციაზე პასუხის პროექტების მომზადება, მოხსენებითი ბარათების, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება და მატერიალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების მომზადება.

მოქალაქის მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის საფუძველზე მომზადდა ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ჯანდაცვის და მრავალფეროვნების საკითხების გაშუქების შესახებ.

მოქალაქეებთან შეხვედრა და შემოსული წერილები

საზოგადოებრივ მაუწყებელთან 2017 წლის აპრილი, მაისი, ივნისის თვეებში კვლავ გაიმართა იპოთეკით დაზარალებულთა აქციები. მათ მიაჩნიათ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი სათანადოდ არ აშუქებს ამ თემას (თუმცა „მოამბემ“ მრავალჯერ დაუთმო დრო მათ პრობლემებს). ასევე გაიმართა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის „საქართველო“ მიერ დაზარალებული მეანაბრეების მრავალრიცხოვანი აქცია.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები და მათი ახლობლები ამჟამად არსებული ამბულატორიული მომსახურებით უკმაყოფილოები არიან და „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ხარვეზებზე ამახვილებენ ყურადღებას.

მოქალაქეებმა ასევე მოგვმართეს ფსიქიატრიული კლინიკებიდან პაციენტების დროზე ადრე გაწერის საკითხთან დაკავშირებით, მათი აზრით, აღნიშნულის შედეგად გახშირდა ფსიქიკური აშლილობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების რიცხვი (სუიციდი, მკვლელობა, ოჯახში ძალადობა).

სანდრო ბრეგაძე, ლადო სადღობელაშვილი, გია კორკოტაშვილი, ზაზა დავითაია და პოლიტპატიმრები მოითხოვდნენ ერთსაათიან ეთერს, ქართული მიწის გაყიდვასთან და

უცხოელებისთვის მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით მოსაზრების დაფიქსირების მიზნით. მათ საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობასთან გამართეს საპროტესტო აქცია.

მრავალჯერ მოგვმართეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეებმა, რომლებიც მატერიალურად ეხმარებიან მრავალრიცხოვან ოჯახებს, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. ყველაზე დიდი დიასპორის წარმომადგენლები საბერძნეთიდან ითხოვდნენ საზოგადოებრივს მოემზადებინა სპეციალური გადაცემები მათი რთული ცხოვრების და მიგრაციის საკითხების თაობაზე.

ყველა აღნიშნული თემა შეძლებისდაგვარად გაშუქდა საინფორმაციო პროგრამაში „მოამბე“. აღნიშნულ მასალებზე ასევე იმუშავა „გამომძიებელმა რეპორტიორმა“ და „რეალურმა სივრცემ“.

„თქვი.ge“-ში მოქალაქეებმა მათთვის მნიშვნელოვან თემებზე ისაუბრეს. ისინი მოითხოვდნენ ხელმძღვანელობასთან და ჟურნალისტებთან შეხვედრას.

პრესა

საზოგადოებრივ მაუწყებელში ყოველდღიურად შემოსული ჟურნალ-გაზეთების მონიტორინგი.

მედიაში და მაუწყებელში არსებული ვითარების ამსახველი პუბლიკაციების სისტემატიზაცია და მაუწყებლის შესაბამისი სამსახურებისთვის გაცნობა.

შესრულდა- 2017 წლის {აპრილი, მაისი, ივნისი} პრესასთან დაკავშირებული №218-2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მაუწყებლის **ონლაინ მუზეუმისთვის** მომზადდა საქართველოს ტელევიზიის 80-ანი წლების მასალები, რომლებიც ეხება საინფორმაციო გადაცემას „მოამბე“.

საერთაშორისო მიმართულება

- TRT „რადიოს დღეები“

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2-6 მაისს თურქეთის ქალაქ იზმირში მონაწილეობა მიიღო თურქეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამართულ ღონისძიებაში „რადიოს დღეები“.

- VRT-ის ტრენინგები

საზოგადოებრივ მაუწყებელში VRT-ის წარმომადგენლემა მაუწყებლის გარკვეული თანამშრომლებისთვის პროგრამირების თემაზე ტრენინები ჩაატარა.

- საქართველო-ამერიკის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წელი

საქართველო-ამერიკის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წელთან დაკავშირებით საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის და რადიოს გადაცემებში დაიგეგმა ამერიკის საელჩოს წარმომადგენლების ვიზიტი.

- მედიის თავისუფლების საერთაშორისო დღე

2017 წლის 3 მაისს მედიის თავისუფლების დღესთან დაკავშირებით საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ქალაქ ბათუმში კონფერენცია გამართა.

- საქართველო-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წელი

საქართველო-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წელთან დაკავშირებით საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თურქეთის პრეზიდენტთან ინტერვიუს ჩაწერასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები აწარმოა საგარეო სამინისტროსთან, საქართველოს საელჩოსთან თურქეთში, თურქეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან და სხვა შესაბამის უწყებებთან.

- ვორქშოფი „მედიის თავისუფლების, პროფესიონალიზმისა და პლურალიზმის გაძლიერება“

მიმდინარე წლის 15-16 მაისს კახეთში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს და ევროპის კავშირის ერთობლივი პროექტის ვორქშოფში -„მედიის თავისუფლების, პროფესიონალიზმისა და პლურალიზმის გაძლიერება“.

- საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსი

კიევში გამართული პრესკონფერენციისთვის, რომელიც მიეძღვნა 2017 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსის სლოგანის და ლოგოს პრეზენტაციას მომზადდა მასალები მედიისთვის.

- Thomson Reuters-ის ვიზიტი

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეხვედრა გამართა „ტომსონ როიტერსთან“ მომავალი თანამშრომლობის შესახებ

- PH International-თან თანამშრომლობა

საზოგადოებრივი მაუწყებელი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაცია PH International-თან.

- BBC-თან თანამშრომლობა

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოლაპარაკებები დაიწყო BBC-თან შესაძლო თანამშრომლობაზე სხვადასხვა კუთხით.

- აკრედიტაციები

საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და საელჩოებთან თანამშრომლობით გადამღები ჯგუფებისთვის მომზადდა და გაიგზავნა დოკუმენტაცია აკრედიტაციის მისაღებად.

· ევროპის მაუწყებელთა კავშირთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან პერმანენტულად ხორციელდება შეხვედრები სხვადასხვა საკითხზე და ასევე, კოორდინაცია ეწევა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პირველი პირების შეხვედრებს.

მივლინება

3 თვის განმავლობაში მომზადდა 287 სამივლინებო განაცხადი, აქედან შეძენილ იქნა 50 ავიაბილეთი, 15 მატარებლის ბილეთი, 461 სასტუმროს ნომერი. გარდა ამისა, ორგანიზება გაეწია საზოგადოებრივი მაუწყებლის 25 თანამშრომლისთვის აკრედიტაციების ,შენგენის და ამერიკის, ირლანდიის, სერბეთის ვიზების მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას (საკონსულოში ვიზიტის დაგეგმვა, საბუთების მოგროვება, ანკეტის შევსება , სატელეფონო ლიმიტების განსაზღვრა მათთვის მივლინების დროს); ასევე, საბავშვო ევროვიზიის საკონსულტაციო ჯგუფის წარმომადგენლების ავიაბილეთებით უზრუნველყოფას.

კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი

- ☐ ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სატელევიზიო ბაზრის, საზოგადოებრივი მაუწყებლის და სხვა ტელეარხების გადაცემების მონიტორინგი და ანალიზი. მონიტორინგი ხორციელდება "people meters"-ების საშუალებით. 2016 წლიდან ქართულ ბაზარზე შემოვიდა ახალი მთვლელი „ტრი მედია ინტელიჯენსი", რომელმაც მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოცხადებულ ტენდერში და გაიმარჯვა. წლის დასაწყისიდან ჩვენ ვიყენებთ პროგრამას „infosyc"
- ☐ ყოველდღიურად მზადდება სარეიტინგო მასალა ტელეგადაცემების დინამიკის შესასწავლად, ანალიზდება სატელევიზიო აუდიტორიის ქცევა, მიღებული მონაცემები ეგზავნება არხის ხელმძღვანელობას.
- ☐ გადაცემების პროდიუსერებს, ყოველდღიურად, თითოეული გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ ეგზავნებათ სარეიტინგო მონაცემები: გადაცემების აუდიტორიის განაწილება დროითი სეგმენტების და მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით, ანალიზდება კონკურენტული გარემო, იმართება კონსულტაციები
- ☐ ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრობა გვავალდებულებს ყველა საერთაშორისო პროექტის ეთერში გასვლის შემდეგ გავაგზავნოთ სარეიტინგო მონაცემები. შესაბამისად, ყველა საერთაშორისო პროექტზე (სპორტული ღონისძიებები, კონცერტები) მომზადდა და გაიგზავნა 2017 წლის ყველა ღონისძიების ანგარიში. ანგარიშები მომზადდა საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნის და სტანდარტების შესაბამისად.
- ☐ მარკეტინგის სამსახურის კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი აგრძელებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემების მონიტორინგს.
- ☐ მომზადდა ანგარიში საზოგადოებრივი რადიოს პროგრამული ბადისთვის. რაოდენობრივი კვლევის მონაცემების გამოყენებით, გაკეთდა რადიოს აუდიტორიის ქცევის ანალიზი. დროითი სეგმენტების მიხედვით აუდიტორიის მიზნობრივი ჯგუფების განაწილება. პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრა.
- ☐ რაგბის კავშირის მოთხოვნის საფუძველზე მომზადდა სპორტული ტრანსლაციების, ჩართვების, და სპორტული პროგრამების სარეიტინგო მონაცემები.
- ☐ იურიდიული სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე მომზადდა 2017 წ სარეიტინგო მაჩვენებლები, აისახა ყველა გადაცემის ორიგინალური ჩვენების სარეიტინგო მონაცემი.

- ☐ კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი აქტიურადაა ჩართული 2018 წლის სეზონის გადაცემების პროექტების განხილვაში. პროცესი გულისხმობს: წარდგენილი პროექტების შესწავლას, განხილვას და შეფასებას.
- ☐ ახალი სეზონისთვის მექანიკური პროდუქციის (ტელესერიალები) შესარჩევად, კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფმა ჩაატარა თვისობრივი კვლევა. რომელიც იყო ორეტაპიანი: 1. ტესტირებისთვის სერიალების შერჩევა 2. ფოკუსურ ჯგუფებზე სერიალების ტესტირება.

გამოვავლინეთ სამომხმარებლო თვალსაზრისით ღირებული 6 სერიალი. ხუთი მათგანი გათვლილია მეტ–ნაკლებად მსგავს სამიზნე აუდიტორიაზე. ერთი სერიალი არის შედარებით ნიშური პროდუქტი, რომლის ეთერში განთავსების დრო - გვიანი ღამე განისაზღვრა.

- ☐ ახალი სეზონისთვის მოხდა საბავშვო ტელეპროდუქციის შერჩევა და ტესტირება.

სარეკლამო ჯგუფი

აპრილი 2017

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ ევროვიზიის სიმღერის საერთაშორისო კონკურსის ტრანსლაციების სარეკლამო შეთავაზებები, რაგბიში 20 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციების სარეკლამო და სასპონსორო შეთავაზებები და მაისის თვის კომერციული რეკლამის განთავსების პირობები;

- მომსახურეობა გაეწია სოციალურ და კომერციულ რეკლამებს, მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე;

მაისი 2017

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ ფიფას კონფედერაციის თასის სარეკლამო შეთავაზებები და ივნისის თვის კომერციული რეკლამის განთავსების პირობები. მომსახურეობა გავუწიეთ ევროვიზიის სიმღერის საერთაშორისო კონკურსის ტრანსლაციებს;

- მომსახურეობა გაეწია სოციალურ და კომერციულ რეკლამებს, მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე;

ივნისი 2017

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ ფეხბურთში 19 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მატჩების სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები და ივლისის თვის კომერციული რეკლამის განთავსების პირობები. მომსახურეობა გავუწიეთ რაგბიში 20 წლამდელთა მსოფლიო და ფიფას კონფედერაციის თასის ტრანსლაციებს;

- მომსახურეობა გაეწია სოციალურ და კომერციულ რეკლამებს, მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე;

აპრილი 2017

ბარტერი		
დამკვეთი	**თანხა აშშ დოლარში**	**თანხა ლარში**
შპს „ნიუსრუმი“	2 775.04	
ააიპ „საქართველოს კალათბურთის ფედერაცია“	1 000.00	
შპს „შოუ ტექნიკის ცენტრი“		410.53
შპს „კინოდისტრიბუცია“		13 176.47
სს„ბაგრატიონი 1882“		4 800.00
შპს „ბიბლუსი“		373.32
შპს „ბალავარი“		5 361.72
ჯამი:	**3 775.04**	**24 122.04**

ტელე განთავსება		
დამკვეთი	**თანხა აშშ დოლარში**	**თანხა ლარში**
სს „ეკრანი“	7 800.00	
შპს „სპოტმედია“	6 750.00	
ააიპ„საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“		15 000.00
ჯამი:	**14 550.00**	**15 000.00**

მაისი 2017

ბარტერი		
დამკვეთი	**თანხა აშშ დოლარში**	**თანხა ლარში**
შპს „ნიუსრუმი“	2 595.04	
ააიპ „საქართველოს კალათბურთის ფედერაცია“	2 000.00	
შპს „შოუ ტექნიკის ცენტრი“		328.43

შპს „კინოდისტრიბუცია“		6 588.23
სს„ბაგრატიონი 1882“		4 800.00
შპს „ბიბლუსი“		373.32
შპს „ბალავარი“		5 361.72
შპს „წისქვილი ჯგუფი“		1 942.05
შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნა“		1 000.00
ჯამი:	**4 595.04**	**20 393.75**

ტელეგანთავსება		
დამკვეთი	**თანხა აშშ დოლარში**	**თანხა ლარში**
სს „ეკრანი“	5 000.00	
შპს „სადისტრიბუციო კომპანია“	1 000.00	
შპს „მედია პლიუსი“	1 755.00	
შპს „სპოტმედია“	4 375.00	
ააიპ„საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“		20 000.00
ჯამი:	**12 130.00**	**20 000.00**

ივნისი 2017

ბარტერი		
დამკვეთი	**თანხა აშშ დოლარში**	**თანხა ლარში**
შპს „ნიუსრუმი“	1 027.40	
შპს „კინოდისტრიბუცია“		1 647.06
სს„ბაგრატიონი 1882“		1 200.00
შპს „ბიბლუსი“		373.32
შპს „ბალავარი“		975.35
შპს „სადისტრიბუციო კომპანია“		4 758.00
ჯამი:	**1 027.40**	**7 306.67**

ტელე განთავსება		
დამკვეთი	**თანხა აშშ დოლარში**	**თანხა ლარში**
სს „ეკრანი“	1 625.00	
შპს „ომეგა“	4 000.00	
შპს „სპოტმედია“	1 625.00	
ააიპ„საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“		15 000.00
ჯამი:	**7 250.00**	**15 000.00**

მზა პროდუქციის შერჩევისა და თარგმნა-გახმოვანების სამსახური

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში კომპანია “ CBS International Television”-თან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში დაიწყო შესყიდული სერიალების მიღება და გახმოვანება. კომპანის “Boomerang TV”-სგან შესყიდულ იქნა ესპანური სერიალის - „ძველი ხიდის საიდუმლო“ დამატებით 130 სერია. ასევე, ეტაპობრივად გრძელდება უკვე არსებული კონტრაქტების მიხედვით ფინანსური ვალდებულებების შესრულება (თანხების გადარიცხვა) და შესყიდული მასალის მიღება და გახმოვანება.

მოლაპარაკებები მიმდინარეობს ახალი სეზონისათვის,მარკეტინგის სამსახურის მიერ, ფოკუს ჯგუფების ჩატარების შედეგად გამოვლენილი საუკეთესო სერიალების შესყიდვასთან დაკავშირებით,

ინტენსიურად მიმდინარეობდა მხატვრული ფილმების და სერიალების შერჩევა, მოლაპარაკებები სხვადასხვა კომპანიებთან. მომზადდა მხატვრული ფილმების ორი პაკეტი, კომპანია Paramaunt Pictures- თან და კომპანია Central Partnership- თან, ახალი კონტრაქტების გაფორმების მიზნით.

აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა ახალი სეზონისათვის სატელევიზიო ფორმატების მოძიებისა და შესყიდვის მიზნით. მოლაპარაკებები შედგა Endemol- თან MGM- თან FremantleMedia- სა და სხვა კომპანიებთან.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო ორ საერთაშორისო ბაზრობაში, ახალი სეზონისთვის სატელევიზიო პროდუქციის მოძიებისა და შერჩევის , აგრეთვე, ჩვენს პარტნიორებთან შემდგომი თანამშრომლობის გაგრძელების მიზნით.

მეორე კვარტალში დასრულდა პროექტი „ახალი ქართული კინო“, რომელიც 5 მარტიდან, ყოველ კვირა დღეს გადიოდა ეთერში. ამ პროექტის ფარგლებში ეთერში გავიდა ბოლო პერიოდში გადაღებული 16 მხატვრული ფილმი, რომლებმაც აღიარება მოიპოვა საერთაშორისო ფესტივალებზე.

სისტემატურად ხდება სპორტული ღონისძიებების ტრანსლირების ლოჯისტიკური მომზადება და მუშაობა მიმდინარე სპორტულ პროექტებზე.

მეორე კვარტალში განხორციელდა UEFA -ს 19 წლამდელთა ჩემპიონატის ორგანიზება და ყველა მატჩის ეთერში პირდაპირი ტრანსლირება. ასევე, კონფედერაციის თასი 2017-ის ტრანსლაციის ორგანიზება.

საკალათბურთო თამაშების „კლაიპედა- საქართველო“ და „ავსტრია- საქართველო“-ს ჩვენების უფლების შესყიდვა და ამასთან დაკავშირებული კონტრაქტების გაფორმება.

ევრო ბასკეტი 2017-ის ტრანსლაციისთვის მოსამზადებელი სამუშაოები.

2017 წლის საქართველოს რაგბის ტესტ-მატჩების ჩვენების უფლების შესყიდვა და ტრანსლაციის უზრუნველყოფა.

2017 მსოფლიო რაგბის - “ U20 CHAMPIONSHIP“-ის ტრანსლაციის უზრუნველყოფა.

ინტენსიურად მიმდინარეობს შესასყიდი მასალის შესწავლა და დახარისხება. ეს სამუშაო მოიცავს მხატვრულ ფილმებს, სერიალებს, დოკუმენტურ ფილმებს, ანიმაციას, ფორმატებსა და სპორტულ ღონისძიებებს. ტრეილერების, სრული ეპიზოდების, ტექსტური ინფორმაციისა და საერთაშორისო გამოხმაურების გაცნობის საფუძველზე ხდება შესასყიდი პროდუქციის შერჩევა.

გახმოვანების ჯგუფმა 2017 წლის მეორე კვარტალში გაახმოვანა მხატვრული, დოკუმენტური ფილმები, მხატვრული და ანიმაციური სერიალები.

აპრილში გახმოვანდა 126.3 სთ, მაისში - 109.5 სთ, ხოლო ივნისში 127.8 სთ.

უკვე საბოლოო სახით, ანუ მასტერინგის ჩათვლით, თარგმნა-გახმოვანება-სუბტიტრების ჯგუფმა მეორე კვარტალში სულ გააკეთა 363.56 საათი.

პროდუქციის დიდი ნაწილი გახმოვანებულია ორ ხმაში, მაგრამ მხატვრული ფილმების და სერიალების გარკვეული ნაწილი გახმოვანდა სამ და ოთხ ხმაშიც კი.

გარდა ზემოთ ნახსენები პროდუქციისა, ასევე სისტემატურად მიმდინარეობდა ანონსების და გადაცემის “ვექტორი” გახმოვანება.

გადაიჭრა ზოგიერთი ტექნიკური პრობლემა (DVCAM- ის მაგნიტოფონი, დამატებითი კომპიუტერი).

სამწუხაროდ, კვლავ არსებობს ტექნიკური სახის სერიოზული პრობლემები, ძირითადად დაკავშირებული სერვერთან.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ პორტალი

სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ონლაინ პლატფორმის განვითარება, რადგან უზრუნველყოფს საზოგადოებასთან მუდმივ ინტერაქციას და სთავაზობს საინტერესო მულტიმედიურ პროდუქტს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებსაიტი იქნება ერთიანი საინფორმაციო პლატფორმა, რომელიც გათვლილია მრავალფეროვან მომხმარებელსა და ინფორმაციის მიღების მრავალ მეთოდზე - კითხვაზე, მოსმენასა და ყურებაზე.

ვებსაიტი ადაპტირებულია შშმ პირების საჭიროებებზე, ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია რუბრიკების, სპეციალური თემის, საკვანძო სიტყვების ან არხების საშუალებით. გარდა ამისა, "პერსონალური კედლის" შექმნის შემთხვევაში, მომხმარებელს საშუალება ექნება, გაფილტროს მისთვის საინტერესო ინფორმაცია და ყოველ შემდეგ შესვლაზე ნახოს მხოლოდ მისთვის მნიშვნელოვანი ამბები.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ონლაინ მედიის ჯგუფი კვლავ აგრძელებს ვებ გვერდებზე - gpb.ge 1tv.ge 2tv.ge radio1.ge eurovision-georgia.ge tqvi.ge და სხვადასხვა აპლიკაციებზე მუშაობას. ხორციელდება მომხმარებლის ფუნქციების მაქსიმალური ინტეგრაცია.

1tv.ge - განთავსებულია პროგრამა „მოამბის“ ახალი ამბების ორენოვანი მრავალწლიანი არქივი კატეგორიების მიხედვით, რომელსაც ახლავს ფოტო და ვიდეო მასალა, ასევე სხვა წყაროებზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი და საინტერესო მასალები, სხვადასხვა გადაცემების ვიდეოარქივი, პოლიტიკური თოქ-შოუებიდან საინტერესო მონაკვეთები, პირდაპირი ეთერი ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით, ტელეპროგრამა.

საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირების, ასევე საზოგადოებასთან უფრო მეტი კავშირის დამყარების მიზნით, პირველი არხის საიტზე - http://1tv.ge/ge/ireporter.html იტვირთება საზოგადოების მხრიდან შემოთავაზებული აუდიო, ვიდეო და ფოტომასალა. ასევე ბლოგი http://1tv.ge/ge/blog.html

- www.gpb.ge - საიტზე კვლავ განთავსებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია, დოკუმენტაცია, სამეურვეო საბჭოს სხდომები და დადგენილებები, საბჭოს სხდომების ვიდეოვერსიები, კანონმდებლობა და ა.შ. საზოგადოებრივი მაუწყებლის პრესცენტრის გვერდზე განთავსებულია საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული ვიდეო http://gpb.ge/ge/articles/view/75
  http://gpb.ge/ge/archive/index პერიოდულად თავსდება არქივში დაცული სხვადასხვა სახის უნიკალური მასალა. მაუწყებელი ზრუნავს საზოგადოების ნებისმიერ წევრზე და ამიტომ ვებგვერდზე განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის (სმენადაქვეითებული, უსინათლო) ადაპტირებულ მასალებს განათავსებს.

www.2tv.ge - განთავსებულია მე-2 სატელევიზიო სამაუწყებლო არხის გადაცემები, ტელეპროგრამა და პირდაპირი ეთერი ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით.

www.radio1.ge - განთავსებულია საზოგადოებრივი რადიო 1-ის გადაცემები, აუდიო/ვიდეო არქივი, ანონსები, რადიო 1-ის და რადიო2-ის- www.radio2.ge liveმაუწყებლობა აუდიო/ვიდეო (ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით), ასევე მობილური ვერსია.

www.eurovision-georgia.ge; საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსთან დაკავშირებით საიტზე განთავსდა კონკურსში მონაწილე კონკურსანტების ფოტოები, ბიოგრაფიები.

tqvi.ge - საიტზე განთავსებულია საზოგადოების წარმომადგენლების მოსაზრებები.

YouTube-არხები

კვლავ მოქმედებს საზოგადოებრივი მაუწყებლის Youtube არხები, კერძოდ "სსმ", "სსმ სპორტი", "თქვი.ge" და სხვ. ასევე ფუნქციონირებს ცალკე არხი პირდაპირი რეპორტაჟებისთვის და Live-გადაცემებისთვის, არხი გამოიყენება სპორტული რეპორტაჟების, "მოამბის", სპეციალური გამოშვებების, გადაცემების პირდაპირ ეთერში ტრანსლირებისთვის.

„სსმ"-ზე განთავსებულია საინფორმაციო გამოშვებები, სიუჟეტები, პირველი და მეორე არხის ტოქ-შოუები, პირველი არხის ყველა ის გადაცემა, რომლებზეც საავტორო უფლებები ეკუთვნის საზოგადოებრივ მაუწყებელს.

სპორტს აქვს ცალკე YouTube-არხი https://www.youtube.com/user/SportGPB

"სსმ სპორტზე" იტვირთება ყველა სპორტული გადაცემა და ყველა სპორტული რეპორტაჟი, რომელთა საავტორო ან მაუწყებლობის უფლებები ეკუთვნის საზოგადოებრივ მაუწყებელს.

საზოგადოებრივი რადიო

საანგარიშო პერიოდში ***საქართველოს ტელერადიოცენტრმა*** ბორჯომში აამუშავა ახალი გადამცემი. გადამცემის სიმძლავრეა 250 ვატი, რაც რელიეფის გათვალისწინებით სრულიად საკმარისია. ახალი გადამცემი აღჭურვილია RDS სისტემით, რაც არხის იდენტიფიცირების საუკეთესო საშუალებაა. RDS სისტემა ასევე უზრუნველყოფს რადიო მიმღების გადართვას ავტომატურ რეჟიმში ავტომაგისტრალის გასწვრივ უწყვეტი მიღებისათვის. დღეისათვის ***საზოგადოებრივი რადიო 1*** მაუწყებლობს 19 გადამცემით, მათ შორის 9 სამაუწყებლო ზონაში დამონტაჟებულია RDS სისტემები.

მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად ***საზოგადოებრივი რადიო 1***-ის მაუწყებლობის ხარისხი და მასშტაბები კვლავ არადამაკმაყოფილებელია. ამ მხრივ სამუშაოები გრძელდება და უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს თბილისი-ბათუმი საავტომობილო ტრასის მაქსიმალურად დაფარვა.

წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი

2017 წლის II კვარტალში ტექნიკურმა დეპარტამენტმა შეიმუშავა ტექნიკური გადაიარაღების ოთხწლიანი გეგმა

საზოგადოებრივი რადიო, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

1. რადიომაუწყებლობის საეთერო პროგრამის მიწოდების წრედებში ხარვეზიანი კონტენტის გასვლის, ან ავარიული მდგომარეობის დასადგენად რადიო 2-ის არხისათვის სიჩუმის დეტექტორი დამონტაჟდა.
2. რადიო 1-ის საინფორმაციო გამოშვების რადიო 2-ის ეთერში პარალელურად განთავსებისათვის რადიო 2 -ის არხზე სპეციალური სქემა დამონტაჟდა .
3. რადიო 1-ის საეთერო სტუდიაში რადიოს ვებ-სთრიმინგის ვიზუალური პროგრამის საკონტროლო ვიდეო მონიტორი დამონტაჟდა.
4. რადიო 1-ის საეთერო სტუდიაში სტუმრებისა და მოწვეული მუსიკალური ჯგუფების ცოცხალი პროგრამებისათვის გახმოვანების აუდიო-მონიტორები დამონტაჟდა.
5. შეკეთდა რადიო 1-ის დაზიანებული საეთერო გამშვები კომპიუტერის კვების ბლოკი.
6. შეკეთდა რადიოს ხმის სარეჟისოროს სამუშაო კომპიუტერის დაზიანებული მონიტორის კვების ბლოკი. ასევე შეიცვალა დაზიანებული კომპონენტები.
7. სპეციალურად 26 მაისის გარე აქტივობისთვის რუსთაველის პროსპექტიდან ცოცხალი გადაცემების საწარმოებლად შემუშავებული სქემით რადიოს დაშორებული სტუდია დამონტაჟდა.

ფილმების გახმოვანების სტუდია, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

1. გახმოვანების ჯგუფში არსებული ტექნიკა მუშაობდა გამართულად და არ მოითხოვდა მაუწყებლის ტექნიკური სამსახურების ჩარევას.

სატელიტური გავრცელების პლატფორმა, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

1. 2017 წლის ივნისში დასრულდა და ამოირთო „აზერკოსმოსის“ სატელიტური პლატფორმით საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის MPEG-2 მოძველებულ ფორმატში მაუწყებლობა. სატელიტების ჯგუფის მიერ თანამედროვე, გავრცელების MPEG-4 შემჭიდროვების ფორმატის სატელიტური მაუწყებლობისათვის განხორციელდა მიმდინარე პარამეტრების ოპტიმიზაცია.
2. საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელეპროგრამების სატელიტურ პლატფორმაზე DVB-S2 მოდულაციის სტანდარტის MPEG-4 შემჭიდროვების ფორმატით გასავრცელებლად მაუწყებლის მიერ შეძენილი იქნა ორი ახალი, თანამედროვე პარამეტრების მქონე ინკოდერი. სატელიტების ჯგუფის მიერ მოხდა ახლადმიღებული ტექნიკის შესწავლა,

ინსტალაცია და ტესტირება სამუშაო პარამეტრებით ფუნქციონირებისას. შესაბამისად, ინკოდირების ახალი პლატფორმა გამართულად მუშაობს.

3. სატელიტების ჯგუფის მიერ მოხდა სატელიტური სააპარატოს სამუშაო რეკ კარადებში, სატელიტების ჯგუფის განკარგულებაში არსებული ძველი, DVB-S/ MPEG-2 სტანდარტის ინკოდერების და სატელიტური მიმღები მოწყობილობების დახარისხება, რის შედეგადაც დღეისათვის უკვე გამოუსადეგარი ტექნიკა მუშა რეკ-კარადებიდან მოიხსნა და გამზადებულია საწყობში გადასატანად.

საზოგადოებრივი პროგრამების გავრცელების სამსახური, ტექნიკური კონტროლ-მონიტორინგი:

საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგის სამსახურში მოქალაქეების ზარებით შემოსულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შპს „ტელერადიოცენტრის“ ტექნიკური სამსახურების მიერ ციფრული ტელევიზიის DVB-T2 სახმელეთო ქსელის გავრცელების სარელეო სისტემაში გამოიცვალა ერთ-ერთი საყრდენი სარეტრანსლაციო საიტი, რამაც სრულად გამოასწორა ტყიბულისა და ამბროლაურის მიმდებარე ზონებში შენიშნული ხარვეზი, რაც გამოიხატებოდა სატელევიზიო და რადიოპროგრამების მიღების დროს არასტაბილური ხასიათის წყვეტებში. ტექნიკური კონტროლის სამსახურის ხელთ არსებული ინფორმაციით, პრეტენზიები მსგავსი ხარვეზების შესახებ აღარ შემოსულა.

1. 2017 წლის ივნისში, საზოგადოებრივ მაუწყებელთან შეთანხმებით, შპს „ტელერადიოცენტრის“ მიერ დამონტაჟებული და ჩართული იქნა რადიო 1-ის პროგრამის გავრცელების ახალი გადამცემი სამაუწყებლო საიტი ქ. ბორჯომის ტერიტორიაზე. ასევე, დადგენილ იქნა ძირითადი ავტომაგისტრალების გასწვრივ რადიოს გავრცელების ხარისხისა და წვდომის გასაუმჯობესებლად დასამატებელი რადიოგადამცემების სავარაუდო განთავსების ადგილები და სიმძლავრეები.
2. დამატებითი რადიოსადგურების ასამოქმედებლად საზოგადოებრივი მაუწყებლის იურიდიულმა სამსახურმა საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით მოამზადა მოთხოვნა, რაც დამატებითი სამუშაო რადიოსიხშირეების მინიჭების საკითხს გაამარტივებს.
3. განიხილება მოთხოვნები მარეგულირებებლი კომისიის მიმართ, რათა კანონში გათვალისწინებული იქნას მაუწყებლისადმი დამატებითი რადიოსიხშირეების მინიჭების პროცედურული საკითხები.

ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური

1. მოამბის ნიუსრუმში ე.წ. ჩართვების ადგილზე 24 ტელევიზორის სტელაჟს გაუკეთდა დემონტაჟი და მათი სადგამები გადაკეთდა 16 ტელევიზორის სტელაჟისთვის.

1. აღნიშნული მონიტორების სტელაჟი და მონიტორები გადატანილ იქნა №116 ოთახში, სადაც ასევე დამონტაჟდა მოამბის სტუდიური კამერა. გაყვანილ იქნა ტელე და აუდიო კომუნიციები, რათა მოწყობილიყო ახალი ჩართვის ოთახი.
2. მოამბის სარეჟისორო სააპარატოში დემონტაჟი გაუკეთდა იქ არსებულ სატელიტურ რესივერებს, მათ ნაცვლად დამონტაჟდა საკაბელო რესივერები, გარემონტდა დაზიანებული კვადრატორის მოწყობილობა.

3. 26 მაისის დღესასწაულის რეპორტაჟის უზრუნველსაყოფად დამზადდა სადგამები პლაზმური ტელევიზორებისთვის. დროებით მოიხსნა სტუდიებში არსებული აპარატურა, მათი შემდგომი მონტაჟისთვის რუსთაველის გამზირზე.
4. SD „ფლაი-ვეის“ აპარატურას დემონტაჟი ჩაუტარდა დაზიანებული GMC-ის ფირმის მანქანიდან. გადაკეთდა აპარატურის რეკები და დამონტაჟდა “Toyota“-ს ფირმის მანქანაზე.
5. პერიოდულად რემონტდება მიკროფონები და დიქტორების კავშირის-ყურსასმენის მიმღებები.
6. დემონტაჟი გაუკეთდა ე.წ. სტუმრების ჩართვის №116 ოთახს და იქ დამონტაჟებულ აპარატურას. ახალი ჩართვის ადგილი მოეწყო ისევ მოამბის ნიუსრუმში.
7. შეკეთდა და დარეგულირდა DV, CAM ფორმატის მაგნიტოფონები, LCD ხედის მაძიებლები, LCD მონიტორები , კამერის ტრიაქსიალური და კოაქსიალური კაბელები. ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმში ტარდებოდა ვიდეო კამერების, ხელის და სამკერდე-„პეტლიჩკა“ რადიომიკროფონების, ვიდეოკამერის შტატივების, „ფლეშ-ბეკების“, აკუმულატორების და შემაერთებელი კაბელების მექანიკური და ელექტრული დაზიანებების რემონტი, სამუშაო ოთახებში განლაგებული აპარატურის გაუმართაობის ადგილზე აღმოფხვრა. ორ კვირაში ერთხელ ტარდება საეთერო მაგნიტოფონების პროფილაქტიკა.
8. შეკეთდა დავარდნით დაზიანებული ობიექტივი KJ20x8,5B -ის ფოკუსის რინგი.
9. შეკეთდა PANASONIC AG-HPX304ER -გატეხილი კორპუსი ,შეიცვალა მატრიცა და ჩიპების ბლოკი
10. შეკეთდა კამერის განათება 12ც.
11. შეკეთდა Sachtler შტატივი 14ც
12. შეკეთდა Sachtler შტატივის თაურა 6ც.
13. შეკეთდა Vinten შტატივი 10ც
14. შეკეთდა Sennheiser SKM 100 ხელის რადიო მიკროფონი 18ც.
15. შეკეთდა Sennheiser სამკერდე რადიო მიკროფონი 16ც.
16. რადიო მიკროფონის კაბელის შეკეთება 75 ცალი
17. შეკეთდა ვიდეომიქმერი SONY MCS-8M

……..

ფინანსური და ადმინისტრაციის ბლოკი

ინფორმაცია ფინანსური ხარჯების შესახებ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2017 წლის II კვარტალში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 9,483.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 301.5 ათასი ლარი, სულ 9,785.0 ათასი ლარი.

ხელფასები

2017 წლის II კვარტალში შრომის ანაზღაურების მიზნით საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 6,002.6 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 26.4 ათასი ლარი, სულ - 6,029.1 ათასი ლარი.

მივლინებები

2017 წლის II კვარტალში მივლინებების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა საბიუჯეტო სახსრებიდან სულ შეადგინა 349.0 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 4.3 ათასი ლარი, სულ - 353.3 ათასი ლარი.

სამეურვეო საბჭოს ხარჯები

2017 წლის II კვარტალში საბიუჯეტო სახსრებიდან სამეურვეო საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად დახარჯული იქნა 120.0 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 1.2 ათასი ლარი, სულ - 121.2 ათასი ლარი.

მონიტორინგის საბჭოს ხარჯები

2017 წლის II კვარტალში მონიტორინგის საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად სულ დახარჯულ იქნა 23.0 ათასი ლარი.

სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

2017 წლის II კვარტალში ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 573.7 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა 538.7 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 35.0 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ელ. ენერგია - 86.9 ათასი ლარი;
- წყალი - 17.5 ათასი ლარი;
- ბუნებრივი აირი - 3.5 ათასი ლარი;

- დასუფთავება - 28.4 ათასი ლარი;
- საწვავი (ბენზინი,დიზელი) – 84.4 ათასი ლარი;
- ავტომობილების დაზღვევა - 4.3 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის შეკეთება - სათადარიგო ნაწილები - 57.2 ათასი ლარი;
- სატელეფონო ხარჯები (მობილური ტელეფონები) – 22.2 ათასი ლარი;
- სხვა სატელეფონო ხარჯები - 7.7 ათასი ლარი;
- საფოსტო მომსახურება - 0.6 ათასი ლარი;
- ინტერნეტის ხარჯი - 20.0 ათასი ლარი;
- საკანცელარიო საქონელი – 5.4 ათასი ლარი;
- დაცვის ხარჯები - 59.1 ათასი ლარი;
- თანამშრომლთა დაზღვევის ხარჯი - 123.5 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი - 5.9 ათასი ლარი;
- სასამართლი/ბაჟი - 5.6 ათასი ლარი;
- ჟურნალ გაზეთები და წიგნების მოწ. – 3.2 ათასი ლარი
- მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - 5.0 ათასი ლარი;
- აუდიტორული მომსახურება - 2.0 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 7.5 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 23.9 ათასი ლარი.

<u>მარკეტინგის ხარჯები</u>

2017 წლის II კვარტალში მარკეტინგის ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 28.5 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯულ იქნა - 3.6 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 24.9 ათასი ლარი.

- სოციალური კვლევები - 0.3 ათასი ლარი;
- რეკლამა - 3.3 ათასი ლარი;
- სასაჩუქრე პაკეტები - 9.6 ათასი ლარი;
- ბრენდირება - 14.2 ათასი ლარი;
- სხვა მარკეტინგის ხარჯები - 1.2 ათასი ლარი;

<u>პროდიუსინგის ხარჯები</u>

მაუწყებლის მიერ 2017 წლის II კვარტალში სხვადასხვა სახის პროდიუსინგის ხარჯებზე საბიუჯეტო დაფინანსებიდან დახარჯული იქნა 936.3 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 154.2 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 1,090.5 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯების ძირითად ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- პირდაპირი ჩართვებისა და ინფორმაციის გადმოგორება (პერეგონები) – 26.8 ათასი ლარი;
- სპორტული გადაცემებისა და ჩემპიონატის ჩვენების უფლებები - 780.4 ათასი ლარი;
- ევროვიზიის ჩვენებასთან დაკავშირებული ხარჯები - 81.4 ათასი ლარი;

- მიმდინარე გადაცემების ხარჯი - 52.5 ათასი ლარი
- გადაცემების შესყიდვა (რადიო თავისუფლება ევროპა) – 39.6 ათასი ლარი;
- ქართული ფილმები - 13.4 ათასი ლარი
- ერთობლივ პროექტში მონაწილეობა (კინო იბერიკა) – 90.0 ათასი ლარი
- რეგიონალური მაუწყებლობა - 3.0 ათასი ლარი
- სხვა დანარჩენი საპროდიუსინგო ხარჯები - 3.4 ათასი ლარი;

საინფორმაციო სამსახურის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2017 წლის II კვარტალში საინფორმაციო სამსახურის დასაფინანსებლად საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა - 117.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 0 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 117.5 ათასი ლარი.

მათ შორის აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- სატელიტური ჩართვებისა და საინფორმაციო მასალების გადმოგორების ხარჯები - 66.9 ათასი ლარი;
- ინფორმაციის შეძენის ხარჯები - 50.6 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საინფორმაციო ხარჯები - 0 ათასი ლარი.

ტექნიკის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2017 წლის II კვარტალში საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული საკასო ხარჯების ოდენობამ შეადგინა - 986.9 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 34.7 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 1,021.6 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება) – 321.0 ათასი ლარი;
- სატელიტით მომსახურება 75.1 ათასი ლარი;
- ვებ მაუწყებლობა და სტრიმინგი - 42.0 ათასი ლარი;
- კომპიუტერის სათად. ნაწილები 12.3 - ათასი ლარი;
- კასეტები და ელემენტები - 158.7 ათასი ლარი;
- ჭებში კაბელების გატარება - 4.9 ათასი ლარი;
- კონდიციონერი - 69.6 ათასი ლარი;
- ინკოდერების შესყიდვა - 62.0 ათასი ლარი;
- კომპიუტერების შესყიდვა - 105.5 ათასი ლარი;
- ტექნიკის ქირავნობა - 124.5 ათასი ლარი;
- ლიცენზირებული ანტივირუსი - 30.4 ათასი ლარი;
- თანამშრომელთა ტრეინინგი - 9.5 ათასი ლარი;

- სხვა ტექნიკური ხარჯები - 6.0 ათასი ლარი.

<u>სხვა გადასახდელები</u>

2017 წლის II კვარტალში მაუწყებლის საბიუჯეტო სახსრებიდან აღნიშნულ ხარჯებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა - 405.9 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 20.7 ათასი ლარი. სულ დახარჯულ იქნა - 426.6 ათასი ლარი.

მათ შორის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- მომსახურებაზე გადახდილი დღგ / უკუდაბეგვრის დღგ - 250.0 ათასი ლარი;
- ევროპის მაუწყებელთა კავშირის საწევრო - 106.0 ათასი ლარი;
- საავტორო უფლებები - 34.0 ათასი ლარი.
- ქონების გადასახადი - 11.9 ათასი ლარი;
- 26 მაისთან დაკავშ. ხარჯი - 8.2 ათასი ლარი;
- სხვა გადასახდელები - 16.5 ათასი ლარი

იურიდიული სამსახურის ანგარიში

1. ხელშეკრულებების შესახებ

2017 წლის მე-2 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 241 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2017 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	**ფ/პ მამუკა გერმანიშვილი**	სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად.** კომპენსაციის ნაწილში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" მ. გერმანიშვილის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 2 000 ლარის ოდენობით, ხოლო, სახ. ბაჟის სახით - 120 ლარის ანაზღურება. _ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო წესით. **_ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და მ. გერმანიშვილს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე**
2.	**ფ/პ გიორგი ბაქრაძე**	კომპენსაციის (განაცდურის) ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში _ სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა ა/წ 8 ივნისს, თუმცა, მოსარჩელემ დააზუსტა და გაზარდა მოთხოვნა (გარკვეულწილად სასამართლოს დახმარებით), რის გამოც, წარმოადგინა დაზუსტებული სარჩელი და მოითხოვა: 1) კომპენსაციის სახით 185 000 ლარის გადახდა სამსახურში თანამდებობაზე აღდგენის შეუძლებლობის გამო და 2) სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენ. დირექტორის იმ გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც მან სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების გარეშე გაათავისუფლა სამსახურიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ სასამართლოში შეტანილი იქნა შესაგებელი. შესაბამისად, სასამართლო სხდომა ამ ეტაპზე გადაიდო განუსაზღვრელი ვადით
3.	**ილია ნატროშვილი**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ**

		ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	**დაკმაყოფილდა.** _ ი. ნატროშვილის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში
4.	**ვახტანგ კანდელაკი**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
5.	**ეკატერინე მიშველაძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, მორალური ზიანის ანაზღაურება, საურავის დარიცხვა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუღებელი ხელფასის გამო	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ: **ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და** **ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ე. მიშველაძის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა 30 000 ლარის ოდენობით.**
6.	**ეკატერინე მაჭავარიანი**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება,	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
7.	**ბესიკ შარაშიძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
8.	**მანანა სარალიძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
9.	**ქეთევან გოგაძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
10.	**გაგა მოდებაძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
11.	**ნათია ბერსენაძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში

		ანაზღაურება	
12.	**საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო**	საჯარო ინფორმაციის გაცემა	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
13.	**ლაშა მესხი**	1) შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რითაც განისაზღვრა მისი მოქმედების ვადა 1 თვით; 2) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე გენ. დირექტორის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; 3) სამსახურში აღდგენა; 4) იძულებითი მოცდენის ანაზღაურება; 5) პროფკავშირული საქმიანობის და განსხვავებული შეხედულებების გამო მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
14.	**ავთანდილ ძიძიგური**	უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
15.	**ნუგზარ რუხაძე**	საავტორო ჰონორარის სახით 276 000 ლარის დაკისრება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში

2.2

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2017 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში:

	№	მოპასუხე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.		**შპს "Georgian Water & Company"**	სასპონსორო მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების სახით 5 000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ეროვნ. ვალუტაში) და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში

		პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება	
2.	**შპს "ტიფლის ტვ"**	საიჯარო ქირის სახით ძირითადი დავალიანების და დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა, მატერიალური ზიანის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
3.	**შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"**	ძირითადი დავალიანების და პირგასამტეხლოს სდაკისრება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში. _ მოსამზადებელი სხდომა, რომელიც ჩატარდა ა/წ 19 ივლისს, გადაიდო ა/წ 21 აგვისტოსთვის

2.3.

4. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო წარმოება:

☐ თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააღსრულებო ფურცლები (და შესაბამისად, სასამართლო წარმოება დასრულებულია) მოვალეების: **შპს "კიკალა სტუდიო ტვ"-ს, შპს "ნიუ-რაციოს", შპს "ეი-სი ჯგუფი"-ს, "სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი"-ს, შპს "ფენიქსის", შპს "კინოსტუდია სანგუკო"-ს, შპს "რაქი"-ს, შპს "ლაივ პრომო"-ს, შპს "ტელე-რადიოკომპანია ტვ-7"-ის, შპს "ნონეიმ სტუდიო"-ს, შპს "მილ პოინტი"-ს, შპს "ნ და გ კომპანის", შპს "S.T. იმპორტი"-ს, შპს "აიბი გრუპი"-ს, ი/მ თამარ კოპალიანის, შპს "მედია ჯგუფი"-ს, შპს ტელეკომპანია "პიკ"-ის, შპს "საზოგადოებრივი კოლეჯი 21-ე საუკუნე"-ს, ფ/პ ადა მჭედლიძის, შპს "საერთაშორისო ბიზნეს განვითარების ცენტრი"-ს, შპს "ამპლიტუდა"-ს, შპს "გრინ ბილდინგი"-ს, შპს "კრეატივ ქორნერი"-ს, შპს "დუტა პროდაქშენ"-ის, შპს "ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი"-ს, ა(ა)იპ "საკალათბურთო კლუბი ვითა"-ს** და **შპს "პიართაიმი"-ს** მიმართ.

☐ თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე საქმე გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ. სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად დანიშნულია თბილისის სააღსრულებო ბიურო. სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას (რომელიც გაიხსნა სასამართლოს **18.05.2010წ. განჩინებით**), აღნიშნული კომპანიის მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მოთხოვნა მხოლოდ **1 403,23 ლარის** ოდენობით. რაც შეეხება სხვა დავალიანებას, რომელიც შპს "სქაი ჯორჯია"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღნიშნული დავალიანება აღიარებული არ იქნა. შესაბამისად, კანონის თანახმად, სასამართლოში წარდგენილი იქნა სარჩელი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ შპს "სქაი ჯორჯია"-სთვის **14 318,01 ლარი**ს დაკისრების შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **15.11.2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში**. მაგრამ იმის გამო, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროს უკვე დაწყებული იყო შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა თბილისის სააღსრულებო ბიურო, **მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლომ ხელახლა უნდა მოიწვიოს კრედიტორთა კრება და მიიღოს გადაწყვეტილება 14 318,01 ლარის ოდენობით შპს "სქაი ჯორჯიას" მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნის აღიარების თაობაზე**.

კრედიტორთა კრება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ჩატარდა ა/წ 28 ოქტომბერს.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" განცხადება დაკმაყოფილდა და მისი მოთხოვნა აღიარებული იქნა კრედიტორთა მე-6 რიგის მოთხოვნებში.

წარმოება მიმდინარეობს და ჯერ დასრულებული არ არის.

- ☐ თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააღსრულებო ფურცელი **ფიზიკური პირის ფიქრია მიქაბერიძის** მიმართ, რომლითაც ამ უკანასკნელს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ დაეკისრა სახ. ბაჟი სახით გადახდილი თანხების ანაზღაურება.

3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ

2017 წლის მე-2 კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შემოვიდა 19 განცხადება, საიდანაც, დაკმაყოფილდა 11 განცხადება (ამასთან, 5 განცხადებაზე გაკეთდა ასევე შესაბამისი განმარტებები), 5 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო, 3 განცხადება არ დაკმაყოფილდა.

4. სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2017 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი იქნა 2 ადმინისტრაციული საჩივარი. კერძოდ:

2017 წლის 18 აპრილს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა მოქალაქე გ. ი-მა, რითაც მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს დაევალოს მიაწოდოს გ. ი-ს სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის 2004 წლის 15 სექტემბრამდე გამოცემული ბრძანება გ. ი-ს სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" მე-2 არხიდან გათავისუფლების შესახებ.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2.

2017 წლის 16 მაისს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა მოქალაქე გ. ი-მა, რითაც მოითხოვა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს დაევალოს მიაწოდოს გ. ი-ს შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გ. ი-ს მიღებული აქვს შესაბამისი განმარტებები საზოგადოებრივი მაუწყებლისგან. გარდა ამისა, სამეურვეო საბჭოს მიერ გ. ი-ს განემარტა იმის შესახებ, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ქმედება უნდა გასაჩივრდეს არა სამეურვეო საბჭოში, არამედ ზემდგომ თანამდებობის პირთან ან სასამართლოში. აღნიშნულთან დაკავშირებით გ. ი-მა დადგენილ ვადაში არ წარუდგინა სამეურვეო საბჭოს წერილობითი მოსაზრებები. შესაბამისად, ადმინისტრაციული საჩივარი დარჩა განუხილველი.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2017 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოში შემოვიდა 1 საჩივარი.

1.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოს 2017 წლის 31 მაისს წერილობით/საჩივრით მიმართა შპს "ფრესკო შოპინგ ცენტრი"-ს გენერალურმა დირექტორმა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში 2017 წლის 21 მაისს, 20:24 სთ-ზე საინფორმაციო გამოშვებაში "მოამბე კვირას ვასილ ივანოვ ჩიქოვანთან ერთად" გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით.

საჩივარი განხილული იქნა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში არსებული შესაბამისი კომისიის მიერ, სადაც აღინიშნა, რომ წარმოდგენილი საჩივარი არის დაუსაბუთებელი.

5. სხვა საკითხების შესახებ

სხვა მხრივ, იურიდიული სამსახური თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით იძლევა სამართლებრივ კონსულტაციებს, ამზადებს სხვადასხვა სახის წერილებს, ბრძანებებს, მემორანდუმებს, შესაბამის აქტებს, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებს.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" არქივის ანგარიში

საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის ყველა სამსახური აგრძელებს მუშაობას ჩვეულ რეჟიმში - ახორციელებს ძველი აუდიო, ვიდეო, ფოტო მასალის გაშიფვრას, ახალ მატარებელზე გადატანას და ანოტირებას, ასევე უახლესი, მიმდინარე მასალის დაარქივებას.

2017 წლის II კვარტალში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიწყო არქივის გაციფვრისთვის პარტნიორი კომპანიების მოძიება. ევროპის მაუწყებელთა კავშირთან აქტიური მოლაპარაკების და კონსულტაციის შედეგად შერჩეული კომპანია "NOA"-სთან მიმდინარეობდა აქტიური მოლაპარაკება საერთო პროექტის დაწერის მიზნით. პროცესში ჩართული იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური. მოითხოვა რა ფინანსთა სამინისტრომ დეტალური ბაზრის კვლევა სხვა ალტერნატიული კომპანიების შესახებ, საზოგადოებრივმა მაუწყებლის მმართველმა გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება გამოაცხადოს ტენდერი, კონკრეტული კოპმანიის მოსაძიებლად, რომელიც აღწერს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის მდგომარეობას და განსაზღვრავს მის საჭიროებებს. სწორედ ამის შედმგომ შეძლებს საზოგადოებრივი მაუწყებლის მმართველი გუნდი გამოაცხადოს ტენდერი საერთაშორისო კომპანიის მოძიების მიზნით, რომელიც შეძლებს საზაგადოებრივი მაუწყებლის არქივის გაციფვრა-შენახვის საჭიროებების დაკმაყოფილებას. შესაბამისად საზოგადოებრივმამაუწყებელმა შეწყვიტა კომპანია „NOA"-სთან ერთობლივ პროექტზე „მილიონი წუთი არქივიდან" მუშაობა.

არქივი აქტიურად განაგრძობს მუშაობას, რათა საკუთარი რესურსით გაციფროს არსებული ფონდების თუნდაც უმცირესი ნაწილი მაინც. ამისათვის საზოგადოებრივ მაუწყებელს შეემატა ორი ახალი თანამშრომელი. რედაქტორები მატარებლებზე არსებულ გაუშიფრავ მასალას გაეცნობიან, გადაწერენ და ანოტაციას გაუკეთებენ. შესაბამისად არქივის სამსახურის ახალი თანამშრომლები აღიჭურვნენ შესაბამისი ტექნიკით.

დაქირავებული კომპანიის თანამშრომლებთან ერთად შეიქმნა ახალი საერთო, ელექტრონული ბაზა საზოგადოებრივი მაუწყებლისა არქივისთვის. 2017 წლის მეორე კვარტალში ჩაეშვა გაერთიანებული ბაზის სატესტო რეჟიმი, რომლის მიზანიც არის მისი ადაპტირება და ხარვეზების აღმოფხვრა. ამ ეტაპის შემდეგ ბაზა ხელმისაწვოდმი გახდება ჯერ საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებისთვის, მოგვიანებით.

არქივი სამსახურის „ფეისბუქ გვერდსა“ და „იუთუბ არხზე“, პერიოდულად იტვირთება საზოგადოებრივი მაუწყებლის ვიდეო არქივში დაცული უნიკალური მასალებიდან ფრაგმენტები. ამ არხების არსებობის მიზანია, წარმოდგენა შეუქმნას საზოგადოებას, თუ რამდენად უნიკალური მასალაა დაცული საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში.

გარდა მიმდინარე სამუშაოებისა, არქივის სამსახური მუდმივად აკმაყოფილებს გარე მომხმარებლის მოთხოვნებს სხვადასხვა შინაარსის მასალაზე. 2017 წლის II კვარტალში გაყიდული მასალის საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტში შემოსული თანხა ამ დროისათვის შეადგენს 553 ლარს.

კინო-ფოტო და ვიდეო ფონდებში შესრულებული სამუშაოს ანგარიში

ვიდეოფონდის მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხული და სისტემატიზირებულია (გაშიფრული, შინაარსობრივად დამუშავებული მიმდინარე გადაცემები, ძველი ვიდეომატარებლებიდან და კინო ფირებიდან ციფრულ DVCAM-DVD მატარებლებზე გადატანილი, სატელევიზიო პროგრამები და ფილმები) სულ: 962 ჩანაწერი - 425 სთ-ზე მეტი

დაარქივდა (DVD, DVCAM მატარებლებზე) ძველი და მიმდინარე გადაცემები და სხვადასხვა ტიპის ვიდეო მასალები; ვიდეოფონდის სამონტაჟოებზე ჩაიწერა ÷ შიდა გამოყენებისთვის, გარე ორგანიზაციებისა თუ მოქალაქეებისთვის, ÷– 205 ერთეული ÷ 288 სთ-ზე მეტი ქრონომეტრაჟის აუდიო-ვიზუალური მასალა. მათ შორის რესტავრაცია-კორექცია ჩაუტარდა - 42 ერთეულ ÷ 10 სთ-ზე მეტი ქრონომეტრაჟის სხვადასხვა ტიპის აუდიო-ვიდეო მასალებს.

“დიდი ვიდეოფირებიდან” (პირველი თაობის 55 მმ.Q ფორმატის ვიდეოფირებიდან) გადატანილია ციფრულ (DVCAM) მატარებლებზე 24 ერთეული აუდიოვიზუალური მასალა დაახლოებით 16 სთ. და 29 წთ.

პარალელურად მიმდინარეობს საინფორმაციო ბაზის სრულყოფა (უზუსტობების აღმოფხვრა; თარიღების დადგენა, დაზუსტება; დამატებითი დეტალების შეტანა; კორექტურის გასწორება და სხვ.).

კინო-ფოტო ფონდი

კინოფონდში-16 მმ. კინოფირებიდან, ციფრულ (DVCAM) მატარებელზე გადატანილია 35 ერთეული, 67 ნაწილი (უხმო და ხმოვანი) 11: 10 სთ. მასალა; აქედან: უნიკალური მონიტორული

გადაღება: 3 ერთეული, 7 ნაწილი (შემეცნებითი, მუსიკალური და სატ. სპექტაკლი) 1:10 სთ. უხმო მასალები- 60 ნაწილი, 10 სთ

გრძელდება კინოკატალოგის ელექტრონულ ბაზაში შეტანა. შეტანილია 135 ბარათი (ამ დროისთვის სულ შეტანილია 2725 ბართი) დამუშავებულია 97 კოლოფი კინომასალა(გაწმენდა; შეწებების, პერფორაციების და რაკორდების აღდგენა)

ფოტოფონდში დასკანერებულია და საინფორმაციო ბაზაში შეტანილია 290 ფოტოანაბეჭდი.

მიმდინარეობს შიდა და გარე მომხმარებლის მომსახურება.

აუდიოფონდი

აუდიო არქივში მომუშავე 8 სტუდიამ კატალოგი შეავსო და სერვერში გადაწერა მასალა, რომელიც შეადგენს 5898 წუთს, ანუ დაახლოებით 98 საათს რაც უდრის 58 58 GB მეხსიერების მოცულობას. გარდა ამისა, თანამშრომლების ნაწილმა გადმოიტანეს DVD-ზე საფონდო ფირების ინვენტარიზაცია: 2200-25000, 30000, 31000, 32000, 33000. 23000-34000, 33000 - 34000, CD ფირებიდან სერვერზე გადაიყვანეს: "ხმების ისტორია" და "თეატრალური შეხვედრები" , შესაბამისად გაკეთდა კატალოგი; 8 MD-ზე ნომრების მინიჭება და გაფორმება (სპექტაკლები). 10 CD გადაიწერა და შეყვანილ იქნა კატალოგში.

საინფორმაციოს არქივის განყოფილება

2017 წლის მეორე კვარტალში ეთერში გასული მასალა - სიუჟეტები, კადრ-სინქრონები და გადაფარვები-დეტალურად გაშიფრული და დაარქივებულია 12 288 ფაილი, რომელმაც შეადგინა 195 საათი; შევსებულია და საძიებო ბაზაშია შეტანილი 4 458 ბარათი.

აპრილი - გაშიფრულია და დაარქივებული - 4267 ფაილი, 69 საათის მასალა (901GB);

მონაცემთა ბაზაში ჩაიწერა 1596 ბარათი;

მაისი - გაშიფრულია და დაარქივებული - 4021 ფაილი, 64 საათის მასალა (843 GB);

მონაცემთა ბაზაში ჩაიწერა 1432 ბრათი;

ივნისი - გაშიფრულია და დაარქივებული - 4000 ფაილი, 62 საათის მასალა;

მონაცემთა ბაზაში ჩაიწერა 1430 ბარათი;

შავი მასალა - გაშიფრული და დაარქივებულია მასალა 17ცალ (DVC-ის) კასეტაზე, რაც შეადგენს 51 საათს; შევსებულია და საძიებო ბაზაშია შეტანილი 151 ბარათი.

აპრილი - ჩაწერილია 6 ცალი სამსაათიანი DVC-ის კასეტა, 18 საათის მასალა;

დაარქივებულია და შევსებულია 45 ბარათი.

მაისი - ჩაწერილია 6 ცალი სამსაათიანი DVC-ის კასეტა, 18 საათიას მასალა;

დაარქივებულია და შევსებულია 52 ბარათი „მოამბის“ არქივის შესაბამის პროგრამაში.

ივნისი - ჩაწერილია 5 ცალი სამსაათიანი DVC-ის კასეტა ,15 საათის მასალა.

დაარქივებულია და შევსებულია 54 ბარათი „მოამბის“ არქივის შესაბამის პროგრამაში.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ანგარიში:

2017 წლის 30 აპრილის მდგომარეობით:
დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 1166 ადამიანი, მათ შორის ქალი 466, რომელთაგანაც 6 იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში; 72 თანამშრომელს შეთავსებული ჰქონდა დამატებითი თანამდებობები, მიღებულ იქნა 22, ხოლო გათავისუფლდა 10 თანამშრომელი, დანამატი მიეცა 20 თანამშრომელს, აპრილის თვეში მიღებულ იქნა 2 ადამიანი სტაჟირებაზე.



2017 წლის 31 მაისის მდგომარეობით:
დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 1171 ადამიანი, მათ შორის ქალი 468, რომელთაგანაც 7 იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში; 74 თანამშრომელს შეთავსებული ჰქონდა დამატებითი თანამდებობები, მიღებულ იქნა 17, ხოლო გათავისუფლდა 12 თანამშრომელი, მაისის თვეში სტაჟირებაზე მიღებულ იქნა 9 ადამიანი.



2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:
დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 1175 ადამიანი, მათ შორის ქალი 471, რომელთაგანაც 6 იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში; 74 თანამშრომელს შეთავსებული ჰქონდა დამატებითი თანამდებობები, მიღებულ იქნა 11, ხოლო გათავისუფლდა 7 თანამშრომელი, ივნისის თვეში სტაჟირებაზე მიღებულ იქნა 13 ადამიანი.



საანგარიშო პერიოდში ჩვენი სამსახური ძირითადად მუშაობდა მაუწყებლის ძველი სტრუქტურის ახალ სტრუქტურაზე გადმოყვანის პროცესზე, რომელიც დასრულდება მ/წ 17 ივლისს. მომზადდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის სახელმძღვანელოს

და ხელმძღვანელ პირთა სახელმძღვანელოს პროექტები, შემუშავდა, დაინერგა ადამიანური რესურსების მართვის პროცედურები.